პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 34-ე წელი № 153 (10850) | კვირა, 30 ივნისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

## საბჭოთა ხალხის სიამაყე

დღეს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი, მისი შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ ტრადიციულ დღესასწაულს — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს.

დიდებული ისტორია აქვს ჩვენს ავიაციას. 75 წლის წინათ მსოფლიოში პირველად ჰაერში აფრინდა რუსი მფრინავი რუსული თვითმფრინავით. ამ საჰაერო ხომალდის შემქმნელი იყო გამოჩენილი მეცნიერი და გამომგონებელი ალექსანდრე მოჟაისკი. დიდი წვლილი შეიტანეს ავიაციის განვითარებაში სამშობლოს დიდმა პატრიოტებმა ლომონოსოვმა, მენდელეევმა, ჟუკოვსკიმ, ციოლკოვსკიმ, ჩაპლიგინმა, ნესტეროვმა და სხვებმა.

სამამულო ავიაციის ისტორიაში ახალი ერა იწყება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. საბჭოთა ავიაცია იქმნებოდა და იზრდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მზრუნველობით, საბჭოთა ადამიანების გმირული შრომით.

კომუნიზმის მშენებელმა საბჭოთა ადამიანებმა და უწინარეს ყოვლისა გმირმა მუშათა კლასმა შექმნეს სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის ზრდის საფუძველი — მძიმე მრეწველობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, შეიარაღებული ძალების განვითარების უშრეტ წყაროს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში შეიქმნა საავიაციო მრეწველობა. აღიზარდნენ საბჭოთა კონსტრუქტორების საუკეთესო კადრები, მფრინავებმა ახალი გზებით გადასერეს საჰაერო სივრცეები. 20 წლის წინათ საბჭოთა თვითმფრინავ „ანტ-25"-ის სახელოვანმა ეკიპაჟმა — ვ. ჩკალოვმა, გ. ბაიდუკოვმა, ა. ბელიაკოვმა — მოახდინეს მსოფლიოში პირველი ძირდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ გადაფრენამ ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა ავიაციის სიძლიერე.

სამამულო ომის წლებში სამხედრო-საჰაერო ფლოტმა, შეიარაღებული ძალების სხვა სახეობათა ნაწილებთან მჭიდრო კავშირში, დიდი როლი შეასრულა გერმანელ ფაშისტთა განადგურების საქმეში. ჩვენმა გმირმა მფრინავებმა პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე. მათ გვიჩვენეს გმირობის, მამაცობის, საბრძოლო ოსტატობის საუკეთესო მაგალითები. უკვდავი დიდებით არის მოსილი მამაცი საბჭოთა შევარდნების ნ. გასტელოს, ჯ. ბენდელიანის, ა. წურწუმიას და ათასობით სხვათა სახელები.

ომისშემდგომ წლებში მძიმე მრეწველობის განვითარებაში მოპოვებულმა წარმატებებმა ხელი შეუწყო არმიის, ფლოტისა და ავიაციის აღჭურვას პირველხარისხოვანი ტექნიკით. ახლა საბჭოთა საჰაერო სივრცეებს სხვა სახეობის თვითმფრინავებთან ერთად ფხიზლად სდარაჯობენ რეაქტიული საჰაერო ხომალდები.

ჩვენი დიადი სამშობლო ამაყობს გამოჩენილი მეცნიერებითა და კონსტრუქტორებით, საავიაციო, რადიოტექნიკური და მრეწველობის სხვა დარგების მუშაკებით, რომლებიც ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ ავიაციის განვითარებისათვის.

ამ სახალხო დღესასწაულს ახალი წარმატებებით ხვდება აგრეთვე სამოქალაქო საჰაერო ფლოტი, რომლის სიამაყეს წარმოადგენს რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ-104". ეს საჰაერო ხომალდი ძრავების სიმძლავრით, კონსტრუქციის სიმტკიცით, კომფორტაბელურობით გაცილებით მაღლა დგას ამავე სახის საზღვარგარეთულ თვითმფრინავებზე.

უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სამოქალაქო ავიაცია პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს, იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ საპატიო და პასუხსაგებ ამოცანათა განსახორციელებლად.

თვითმფრინავმა მტკიცე და საპატიო ადგილი დაიკავა ჩვენს სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში. მფრინავები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მეექვსე ხუთწლედის დიად მშენებლობებში — თვითმფრინავებით გადააქვთ სასწრაფო ტვირთები და მოწყობილობა, ეხმარებიან კოლმეურნეებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მოყვანაში, თვითმფრინავებს იყენებენ ტყის სიმდიდრეთა შესწავლისა და დაცვისათვის. საბჭოთა ავიაციის მდიდარი შესაძლებლობანი ფართოდ არის გამოყენებული სამეცნიერო ექსპედიციების მიერ.

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანები დაინტერესებული არიან და იბრძვიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. გამოხატავს რა მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ადამიანების ნებას, საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, იბრძვის სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. მაგრამ რეაქციული ძალები ხელს არ იღებენ აგრესიულ ზრახვებზე. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხალხი, მისი შეიარაღებული ძალები კიდევ უფრო აძლიერებენ სიფხიზლეს, ძალებს არ ზოგავენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს საბჭოთა ადამიანები ხვდებიან დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის მზადების დღეებში. მათ ახალი შრომითი წარმატებებით თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა ხალხს მტკიცედ სწამს, რომ მისი ერთგული შვილები — სამხედრო-საჰაერო ფლოტის მებრძოლები, სამოქალაქო ავიაციის მუშაკები, კონსტრუქტორები, საავიაციო მრეწველობის მუშა-მოსამსახურეები შემდგომშიც თავდადებით იბრძოლებენ საბჭოთა ავიაციის ზრდისა და განვითარებისათვის, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, სოციალისტური სამშობლოს დაცვის კეთილშობილური ამოცანის პირნათლად შესრულებისათვის.

## ბრძანება
### სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1957 წლის 30 ივნისი № 120 ქ. მოსკოვი

ამხანაგო მფრინავებო და შტურმანებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, საჰაერო მსროლელებო და რადისტებო, ავიაციის მექანიკოსებო და მოტორისტებო, საავიაციო მრეწველობის მუშაკებო, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს. ავიაციის განვითარებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით, საბჭოთა ხალხის გმირული შრომის შედეგად ჩვენი სამშობლო ძლევამოსილი საავიაციო სახელმწიფო გახდა.

მოგესალმებით და გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — საჰაერო ფლოტის დღეს.

შეიარაღებული ძალების ავიაციის პირად შემადგენლობას ვუსურვებ მხედრული ოსტატობის შემდგომ სრულყოფას და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის პირად შემადგენლობას ვუსურვებ ახალ წარმატებებს თანამედროვე ავიაციის ათვისებაში და კიდევ უფრო აქტიურ მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში; არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენებსა და აქტივს — ახალი საავიაციო რეკორდების დამყარებას, საავიაციო ცოდნის პროპაგანდის გაუმჯობესებას და საავიაციო სპორტის განვითარებას საბჭოთა ახალგაზრდობაში; საავიაციო მრეწველობის მუშებს, კონსტრუქტორებსა და ყველა მუშაკს — მაღალი მაჩვენებლების მოპოვებას სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად.

საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 1957 წლის 30 ივნისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის სახელოვან ავიაციას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელ და შთამაგონებელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი.

## ჭაბუკებისა და ქალიშვილების სიხარული, დიდი ზეიმი

### ფესტივალის გახსნა



დიდი ხანია თბილისს ასეთი ზეიმი არ უნახავს. ეს იყო სიჭაბუკის, სილამაზის, სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღის დღესასწაული — ახალგაზრდობის დღესასწაული.

ამ დღესასწაულის დევიზია მშვიდობა, მეგობრობა, სიყვარული, შრომა, კაცობრიობის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლა. ახალგაზრდობის ფესტივალი ჰქვია მას — საქართველოს ახალგაზრდობის პირველი რესპუბლიკური ფესტივალი — წინამორბედი მსოფლიოს ახალგაზრდობის მეექვსე ფესტივალისა, რომელიც ერთი თვის შემდეგ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიმართება.

ზეიმობს თბილისი. ათას ხუთასი წლის ჭაღარა, მაგრამ მარად ჭაბუკი, მრავალჭირნახული, ძლევამოსილ მუხასავით ქარიშხლებთან შენაბრძოლები, დღეს თავისუფალი და ბედნიერი სოციალისტური თბილისი სადღესასწაულო სამკაულებშია.

ფესტივალის პირველი დღეა. დედაქალაქი აახმიანეს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის მხიარულმა სიმღერებმა, ქართული და მოძმე ეროვნული ტანსაცმლით გამოწყობილმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა. მოდიან შრომისა და სწავლის წარჩინებულნი, სამშობლოსადმი, პარტიისა და მთავრობისადმი, ხალხისადმი უანგარო სიყვარულით აღფრთოვანებულნი, მოდიან მზემოკიდებული, ბრინჯაოსფერი ვაჟები და ქალიშვილები.

— მშვიდობა მთელ მსოფლიოში! დიდება ხალხთა მეგობრობას! გაუმარჯოს შრომას ადამიანის კეთილდღეობისათვის! — ასეთია ფესტივალის მონაწილეთა ლოზუნგები.

ქუხს ორკესტრები, ცას სწვდება ახალგაზრდული სიმღერები, სმენას ატკბობს საზეიმო მუსიკის მელოდიები.

გუშინ დილიდანვე იგრძნობოდა არაჩვეულებრივი გამოცოცხლება და საზეიმო განწყობილება დედაქალაქის ქუჩებში. ბოლო არ უჩანდა ახალგაზრდობის დინებას ვაკის ახალი სტადიონისაკენ—„ბურევესტნიკისაკენ", სადაც საზეიმოდ უნდა გახსნილიყო ახალგაზრდობის პირველი რესპუბლიკური ფესტივალი. სტადიონი საზეიმოდ არის მორთული საბჭოთა კავშირის, საქართველოს და მოძმე რესპუბლიკების დროშებით და ალმებით, პლაკატებით, სურათებით. სტადიონის ცენტრში მოწყობილია სპეციალური ესტრადა. სტადიონის ტრიბუნების პირველ რიგში სხედან პიონერები, რომლებსაც ხელში უჭირავთ ასობით დეკორირებული საჰაერო ბუშტი.

...სტადიონის მიდამოებში ცენტრალურ მაგისტრალზე იკრიბებიან ფესტივალის დელეგაციების და ფესტივალის გახსნაზე გამომსვლელი სპორტსმენები. სტადიონზე იწყება დელეგაციებისა და სპორტსმენების შესვლა. ფესტივალის გახსნის მონაწილე დელეგაციათა და სპორტსმენთა კოლონები საფესტივალოდ, საზეიმოდ არის გაფორმებული. ყოველი რაიონისა და ოლქის დელეგაციის წევრები ეროვნული და სპეციალური კოსტიუმებით არიან გამოწყობილნი. აქ არიან სტუმრები — მრავალი მოძმე რესპუბლიკისა და აგრეთვე ბულგარეთის, არგენტინის, დანიის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

ჰაერში ირხევიან ყვავილები, დეკორაციული ქოლგები, საჰაერო ბურთები. მომხიბვლელია კოლონების საფესტივალო გაფორმება, იგი გამოხატავს იმ რაიონის, ქალაქის, ოლქის თავისებურებებსა და კოლორიტს, რომელთა წარმოგზავნილიც ეს კოლონაა.

(დასასრული მე-3 გვერდზე).

* * *

სურათზე: ფესტივალის საზეიმო გახსნა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## საქალაქო კრება თბილისში

29 ივნისს თბილისის საბჭოთა არმიის ოფიცერთა საოლქო სახლის პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საქალაქო კრება. აქ მოვიდნენ საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, თბილისის გარნიზონის წარმომადგენლები.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. მელაძემ.

მოხსენება სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის შესახებ გააკეთა ნ. პაპივინმა. მან ილაპარაკა უდიდეს პოლიტიკურ და შრომით აღმავლობაზე, რომლის ვითარებაშიც აღნიშნავს ჩვენი ხალხი საბჭოთა ავიაციის დღესასწაულს, ილაპარაკა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვაზე სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის განვითარებისათვის, საბჭოთა მფრინავების მზადყოფნაზე — შეასრულონ თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე.

შეკრებილთ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშაკთა კოლექტივის სახელით მიესალმა მოწინავე მუშა შ. ფირცხალავა, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს სამმართველოს სახელით სამმართველოს უფროსი შ. ჰანკოტაძე, ქალაქ თბილისის მეცნიერთა სახელით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ბოჭორიშვილი, ქალაქის მშრომელთა სახელით საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. ჭახრაკია. (საქდესი).

## ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებსაც აერთიანებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ქვანახშირის, ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის დარგობრივი სამმართველო, გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად და 25 ივნისს ვადამდე შეასრულეს ქვანახშირის ამოღების ნახევარი წლის გეგმა. (საქდესი).

## შესანიშნავი თარიღისათვის
## მოქმედებაში

### ხობის რაიონი

⊙ სოფელ საჯიჯაოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ტ. შენგელია) წევრები ენერგიულად მუშაობენ იმისათვის, რომ 1957 წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღონ 45 ცენტნერი ხორცი და 100 ცენტნერი რძე, 1960 წელს — 62 ცენტნერი ხორცი და 180 ცენტნერი რძე.

⊙ ხობის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ხვითარია) ვალდებულება იკისრა 1957 წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღოს 47 ცენტნერი ხორცი და 100 ცენტნერი რძე, ხოლო 1960 წელს — 75 ცენტნერი ხორცი და 210 ცენტნერი რძე.

⊙ სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. ჯიშკარიანი) წევრთა პირობაა 1957 წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღონ 35 ცენტნერი ხორცი და 100 ცენტნერი რძე, ხოლო 1960 წელს — 65 ცენტნერი ხორცი და 200 ცენტნერი რძე.

## საუკეთესო ხარისხის ხორბალი—სახელმწიფოს

ყვარელი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში წელს შარშანდელთან შედარებით ხორბალი ასაღებად ათი დღით ადრე შემოვიდა. ახლა მკა მასობრივად არის გაჩაღებული. ყვარლის მტს-ის კომბაინები მთლიანად ჩაებნენ მოსავლის 10-12 დღეში უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში.

საკოლმეურნეო მინდვრებზე დღისით და ღამით არ წყდება კომბაინებისა და ტრაქტორების გუგუნი. საველე ფარდულები განუწყვეტლივ იღებენ ახალი მოსავლის ხორბლით დატვირთულ ავტომანქანებს. კალოებზე დახვავდა პური. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ხორბლის გაწმენდის სამუშაოები ახალსოფლის ლენინის სახელობის და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში. კალოებს ამშვენებს წითელ მატერიაზე წარწერილი ლოზუნგები: „მოსავალი უდანაკარგოდ ავიღოთ 10-12 დღეში", „საუკეთესო მარცვლეული ვადამდე ჩავაბაროთ სახელმწიფოს!"

მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მეორე კალოზე ხორბლის ზვინებია დახვავებული. აქ პირველ დღეებში 134 ტონა ხორბალი მიიღეს. აქედან დიდი ნაწილი შეჯიბრებაში დაწინაურებელი გიორგი ლალიაშვილის კომბაინით არის აღებული. ამ კომბაინზე ფრიალებს გარდამავალი წითელი დროშა.

მოლოტოველებმა გალეწვის პარალელურად დაიწყეს ხორბლის ჩაბარება სახელმწიფოსათვის. უკვე ჩააბარეს 80 ტონამდე ხორბალი. წელს ხორბლის კარგი მოსავალი აქვთ ყვარლელებს. საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 14-15 ცენტნერს მოელიან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11-12 ცენტნერისა.

### მოსავლის აღების ფრონტზე

## მისი მაგალითი მისაბაძია

— თვრამეტი წელია კომბაინს ვმართავ. ხორბლის ისეთი ბარაქიანი მოსავალი, როგორიც წელს ივრის წყლით გაცოცხლებულ მიწაზე მოვიდა, ჯერ არსად არ მინახავს, — ამბობს სამგორის მტს-ის კომბაინერი ყარამან ბრეგვაძე.

მართალს ამბობს კომბაინერი. თვალსა და გულს ახარებს ახლადათვისებულ 2.000 ჰექტარზე გადაჭიმული პურის ყანები. განსაკუთრებით უხვი მოსავალია 600 ჰექტარ ყამირზე, რომელზეც ხორბალი წელს მეორედ დაითესა. აქ ჰექტარზე საშუალოდ 20-23 ცენტნერ პურს იღებენ, ორჯერ მეტს, ვიდრე შარშან. სოფელ-კარათაკლის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთში, სადაც პურეულის მოსავალს ყ. ბრეგვაძე იღებს, ხორბლის საშუალო მოსავლიანობა აღწევს 30-35 ცენტნერს.

კომბაინერმა ყ. ბრეგვაძემ გამოცდილებით იცის, რომ რაც უფრო დიდია პურეულის მოსავალი, მით უფრო დაძაბული მუშაობა მართებთ მექანიზატორებს. კოლმეურნეთა ნაამაგარის უდანაკარგოდ აღებისათვის მან გარდაბნის მტს-ის მოწინავე კომბაინერ ა. ნასიბოვთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა 10 სამუშაო დღეში მოსავალი აიღოს 250 ჰექტარზე და გალეწოს სულ მცირე 6.000 ცენტნერი მარცვალი.

წარჩინებულმა კომბაინერმა სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის ნაკვეთზე 3 დღეში „სტალინეც-6" მარკის კომბაინით აიღო 70 ჰექტარი ქერი. 23 ივნისს შეუდგა პურის აღებას. არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, პირველსავე ოთხ დღეში მოსავალი აიღო 80 ჰექტარზე და გალეწა 2.500 ცენტნერზე მეტი ხორბალი.

ყ. ბრეგვაძის კომბაინზე მეშტურვალედ მუშაობს მისი შვილი ზაური. მამის დახმარებით იგი ერთ წელიწადში იმდენად დაეუფლა აგრეგატის მართვას, რომ საჭიროების შემთხვევაში შეუძლია კომბაინერის შეცვლა. მამა-შვილთან ერთად თავდადებულად შრომობენ აგრეგატის ტრაქტორისტი ა. გმირიძე და ავტომანქანის მძღოლი ნ. ჰუსეინოვი.



ყ. ბრეგვაძე.

აგრეგატის კოლექტივის წარმატებას ძირითადად მათი შეთანხმებული მუშაობა განაპირობებს. ისინი გონივრულად ანაწილებენ სამუშაო დროს. პურის დიდ ნაწილს იღებენ მესამე სიჩქარით, მაგრამ მკა პირველი და მეორე სიჩქარითაც ხდება. დილით, როცა ყანა ტენიანია, აგრეგატს ამუშავებენ პირველი სიჩქარით, შუადღემდე — მეორე სიჩქარით, შუადღიდან საღამომდე — მესამე სიჩქარით, თუ ყანა ჩაწოლილია, პირველი და მეორე სიჩქარით, ხოლო ღამით — კვლავ მეორე სიჩქარით. სადაც ყანა ძლიერ ხშირია ხედერის მოდების სიგანეს ამცირებენ 1-1,5 მეტრით. მარცვლეულით სავსე ბუნკერს სპეციალურ ავტომანქანებზე ცლიან აგრეგატის გაუჩერებლად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომბაინის მაღალი გამომუშავებისათვის ბრძოლას. ყ. ბრეგვაძის აგრეგატზე გაკრულია დაფა, რომელზეც ასეთი წარწერაა: ყოველდღიურად ავიღებთ სულ მცირე 20-25 ჰექტარ პურეულს. აგრეგატი ახალია, აქვს ელექტროგანათება. უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობით, დამხმარე ინსტრუმენტებითა და სათადარიგო ნაწილების სრული კომპლექტით.

ყ. ბრეგვაძემ, რომელსაც მექანიზატორად მუშაობის 25 წლის გამოცდილება აქვს და ამ დარგში 6 პროფესიას ფლობს, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა პურეულის დანაკარგების შესამცირებლად. კომბაინის პირველი და მეორე წმენდის ცხავი მან გაუმჯობესებული ცხავით შეცვალა, რითაც გაადიდა ცხავების მარცვალგამტარიანობა და მიაღწია იმას, რომ მარცვალი ნამჯაში აღარ გადაჰყვება. ასევე ვენტილატორის კბილანის შეცვლით ვენტილატორის ბრუნვათა რიცხვი 10 პროცენტით გაადიდა და უზრუნველყო გალეწილი ხორბლიდან ნამჯის ნარჩენების სწრაფად ჩამოცილება ბუნკერში გადასვლამდე.

კომბაინერ ყ. ბრეგვაძის აგრეგატის სანიმუშო მუშაობის მაგალითი მისაბაძია.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მზადება რკინიგზელის დღისათვის

## თბილისელ და რიგელ რკინიგზელთა შეჯიბრება

თბილისის სამგზავრო სადგურის კოლექტივმა რკინიგზელის დღის მოახლოების გამო წერილით მიმართა რიგის სამგზავრო სადგურის კოლექტივს და წინადადება მისცა ჩაებან ურთიერთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის მე-40 წლის აღსანიშნავად უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

თბილისელი რკინიგზელები თავიანთ რიგელ თანამოძმეებს ატყობინებენ, რომ ლატვიისა და საქართველოს დედაქალაქთა მშრომელების შეჯიბრებაში რკინიგზელებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ და თავის მხრივ ყველა შესაძლებელი დახმარება გაუწიონ თავიანთი ქალაქის კოლექტივებს ამ შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად. ლატვიის დედაქალაქის რკინიგზელებთან შეჯიბრებაში თბილისის სამგზავრო სადგურის კოლექტივმა იკისრა: მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის ზუსტად დაცვა, საისრე მეურნეობის სანიმუშო მდგომარეობის უზრუნველყოფა, მგზავრთა მომსახურების მაღალ დონეზე დაყენება, მომჭირნეობის შედეგად 120.000 მანეთის ეკონომიის მიღება.

მიღებულია ცნობა, რომ რიგელმა რკინიგზელებმა მიიღეს თბილისელთა წინადადება.

## ორი მნიშვნელოვანი თარიღისათვის

წელს 1 ივნისისათვის სურამის რთულპროფილიან უბანზე გადაყვანილ იქნა მძიმე წონის 1.197 მატარებელი, რომლებმაც ნორმის გადამეტებით 156.000 ტონა სახელმწიფო ტვირთები გადაიტანეს. ეს შესანიშნავი მიღწევაა, რომლითაც დამსახურებულად ამაყობენ ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მძიმეწონოსანი მემანქანეები.

ივნისშიც არ შეუნელებიათ მუშაობის ტემპი, კიდევ უფრო გაახშირეს მძიმე წონის მატარებელთა ტარება და 25 ივნისისათვის 91 ათასამდე ტონა სახელმწიფო ტვირთები გადაზიდეს ნორმის გადამეტებით.

შესანიშნავ მაჩვენებლებს აღწევენ მოწინავე მძიმეწონოსნები. მაგალითად, მემანქანე ი. ლაბაძემ წელს მძიმე წონის 43 მატარებელი გადაიყვანა და 6.430 ტონა ტვირთი გადაზიდა ნორმის გადამეტებით. ასევე ისახელეს თავი კ. ლურსმანაშვილმა, შ. აბასაშვილმა, ვ. გერჩენოვმა, მ. კოტიამ, გ. ცერცვაძემ, ი. პაპუაშვილმა და ნ. ტუროვმა.

ხაშურელმა მეორთქლმავლეებმა მარტო მაისში, მიუხედავად მძიმე წონის მატარებელთა რაოდენობის გადიდებისა, შეძლეს 60 ტონა საწვავის ეკონომიის გაწევა.

ხაშურის უბანი პირველი ელექტროფიცირებული უბანია საბჭოთა კავშირის რკინიგზებზე. ხაშურის საელმავლო დეპო კი პირველია საბჭოთა კავშირში. მალე შესრულდება 25 წელი მას შემდეგ, რაც სურამის საუღელტეხილო ლიანდაგით პირველად გადაიქროლა ამ დეპოდან გამოსულმა ელექტრომავალმა. ხაშურელი რკინიგზელები გულდასმით ემზადებიან ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად, ამასთან რკინიგზელის დღისათვის საამაყო საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

გ. ნოზაძე,
ხაშურის სალოკომოტივო დეპოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

# სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე

ს. ბილოშენი,
ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი.

ჩვენი ავიაციის განვითარებაში მიღწეულ სერიოზულ წარმატებათა აღსანიშნავად საბჭოთა მთავრობამ 1933 წელს დააწესა ყოველწლიური საზეიმო დღესასწაული — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე. შემდეგ ეს დღე საბჭოთა ხალხის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ტრადიციულ დღესასწაულად იქცა.

ამ დღეს საბჭოთა ავიატორები ანგარიშს აბარებენ ხალხს, მთავრობასა და პარტიას მიღწეულ წარმატებათა შესახებ, ავლენენ თავიანთ გაზრდილ საფრენოსნო და საბრძოლო ოსტატობას.

ამავე დროს ჩვენი ქვეყნის მშრომელები სიამაყის გრძნობით აჯამებენ საბჭოთა ავიაციის განვითარების შედეგებს, აღნიშნავენ ჩვენი მფრინავების, კონსტრუქტორების, მეცნიერების, საავიაციო მრეწველობის მუშაკების, სამოქალაქო საჰაერო ფლოტისა და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მიღწევებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენი სამშობლო გადაიქცა ავიაციის მძლავრ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს პირველხარისხოვანი საავიაციო ტექნიკა, ჰყავს საფრენოსნო და ტექნიკური კადრები, რომლებსაც აქვთ მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებები და საფუძვლიანი ცოდნა საავიაციო საქმის დარგში.

წელს საჰაერო ფლოტის დღეს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოიწვია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადებამ.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია ახორციელებენ კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას, რომელიც დასახულია სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. თანმიმდევრულად ვიბრძვით რა მშვიდობისათვის, ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ იმას, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული წრეები აშკარად ემზადებიან ომისათვის სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ამ პირობებში ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ, უნდა განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და ძლიერება საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა, სადაც დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა ავიაციას, რომელიც ფხიზლად დგას ჩვენი სამშობლოს საჰაერო მიჯნების სადარაჯოზე.

75 წლის წინათ, 1882 წლის ზაფხულში, რუსმა გამომგონებელმა ა. ფ. მოჟაისკიმ გააკეთა მსოფლიოში პირველი თვითმფრინავი. სახელოვანმა რუსმა პატრიოტებმა — მეცნიერებმა მ. ვ. ლომონოსოვმა, დ. ი. მენდელეევმა, ნ. ე. ჟუკოვსკიმ, რომელსაც ვ. ი. ლენინმა „რუსეთის ავიაციის მამა“ უწოდა, თეორიული საფუძვლები ჩაუყარეს თანამედროვე ავიაციას. რაკეტდინამიკის და რაკეტული მოძრაობის საფუძვლები მსოფლიოში პირველად დაამუშავა ჩვენმა თანამემამულემ კ. ე. ციოლკოვსკიმ.

საავიაციო კულტურის განვითარებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს აგრეთვე რუსმა მფრინავებმა მ. ეფიმოვმა, პ. ნესტეროვმა, კ. არცეულოვმა, ე. კრუტენმა და სხვებმა, რომლებმაც საფუძვლები ჩაუყარეს უმაღლეს პილოტაჟს და პირველად დაამუშავეს ავიაციის საბრძოლო გამოყენების ზოგიერთი სახეობა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ფართო შესაძლებლობა შექმნა ჩვენს ქვეყანაში ავიაციის სწრაფი განვითარებისათვის. ითვალისწინებდნენ რა ავიაციის უდიდეს მნიშვნელობას პარტია და მთავრობა საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დღეებში დაუღალავად ზრუნავდნენ მძლავრი საჰაერო ფლოტის შექმნისათვის. ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ვ. ი. ლენინს. მისი მითითებებით საბჭოთა ავიაციის შექმნისათვის აქტიურ შემოქმედებით მუშაობაში ჩაბმულ იქნენ უდიდესი რუსი მეცნიერები — ნ. ე. ჟუკოვსკი, კ. ე. ციოლკოვსკი, ს. ა. ჩაპლიგინი, აგრეთვე იმდროინდელი საუკეთესო ინჟინრები და ტექნიკოსები.

ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის წლებში ახალგაზრდა საბჭოთა ავიაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მტრების განადგურებაში. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, გაითვალისწინეს რა, რომ იმპერიალისტები ჩვენ არ მოგვასვენებენ და ყოველმხრივ შეუშლიან ხელს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას, პარტია და მთავრობა მუდმივ მზრუნველობას იჩენდნენ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის უზრუნველყოფისათვის, მისი არმიის, ავიაციისა და ფლოტის განმტკიცებისათვის.

1921 წლის მარტში რკპ (ბ) X ყრილობამ ლენინის მითითებების საფუძველზე მოითხოვა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ყველა სპეციალური ტექნიკური ნაწილისათვის, მათ შორის საავიაციო ნაწილისათვის. პარტიამ მოუწოდა ხალხს: „მშრომელო ხალხო, აშენე საჰაერო ფლოტი!“. ამ ლოზუნგით ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა მოძრაობა საბჭოთა ავიაციის განმტკიცებისათვის. 1923 წელს საფუძველი ჩაეყარა სამოქალაქო საჰაერო ფლოტს, შეიქმნა საჰაერო ფლოტის მეგობართა ნებაყოფლობითი საზოგადოება. ამის შედეგად 1925 წლის დასაწყისისათვის თვითმფრინავთმშენებლობის მხრივ ჩვენ თავი დავაღწიეთ უცხოეთზე დამოკიდებულებას.

მაგრამ ყველაზე სრულ აყვავებას საბჭოთა საჰაერო ფლოტმა მიაღწია ომისწინა ხუთწლედების განმავლობაში, როდესაც ხორციელდებოდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. სწორედ მაშინ შეიქმნა მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ ბაზაზე დაყრდნობით ჩვენი ქვეყნის საავიაციო ქარხნებმა მეორე ხუთწლედში თავიანთი პროდუქციის მოცულობა ხუთნახევარჯერ გაადიდეს.

1931 წელს საკავშირო ალკკ IX ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნის სამხედრო საჰაერო ძალებზე კომკავშირის შეფობის შესახებ. ავიაციაში შევიდა ათასობით კომკავშირელი — მგზნებარე პატრიოტები.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილმა საბჭოთა მფრინავებმა ომისწინა წლებში სამამულო თვითმფრინავებით მოახდინეს მთელი რიგი გაბედული გაფრენები. სიშორის, სისწრაფის, ფრენის სიმაღლისა და ტვირთზიდვის დარგში 168 საერთაშორისო რეკორდიდან დაამყარეს 62 რეკორდი. წელს შესრულდა ოცი წელი მას შემდეგ, რაც განხორციელებულ იქნა ვ. პ. ჩკალოვის და მ. მ. გრომოვის ეკიპაჟების გმირული ძირდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვიდან ჩრდილოეთის პოლუსის გავლით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დიდად წავიდა წინ ჩვენი სამოქალაქო საჰაერო ფლოტი, რომელიც განუწყვეტლივ ივსება სამამულო წარმოების თვითმფრინავებით. საჰაერო ხაზების სიგრძით და ამ ხაზებზე ტვირთბრუნვით სსრ კავშირმა პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში.

საბჭოთა ავიაციის ძლიერება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში. სახმელეთო ჯარებთან და სამხედრო-საზღვაო ძალებთან ურთიერთმოქმედებით საბჭოთა ავიაცია, სძლევდა რა უდიდეს სიძნელეებს ძლიერ და ტექნიკურად აღჭურვილ მტერთან ბრძოლაში, იგერიებდა მოწინააღმდეგის იერიშებს და ამ ბრძოლის მსვლელობაში მიაღწია ჰაერში გაბატონებას.

ჩვენი ავიაციის, ისევე როგორც სსრ კავშირის მთელი შეიარაღებული ძალების გაზრდილი ძალისა და ძლიერების კონცენტრირებული გამოხატულება იყო ბერლინისათვის ბრძოლა, რომლის შედეგად მტერი მთლიანად განადგურებულ იქნა და კაპიტულაცია მოახდინა.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა ავიატორების გმირობას დიდი სამამულო ომის წლებში. 200 ათასზე მეტი მათგანი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით, 2.000-ზე მეტმა ავიატორმა დაიმსახურა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო ყველაზე სახელმოხვეჭილ საბჭოთა მფრინავებს — ა. ი. პოკრიშკინს და ი. ნ. კოჟედუბს ეს მაღალი წოდება სამგზის მიენიჭათ.

ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა ხალხის წარმატებებმა კომუნიზმის მშენებლობაში შექმნა ახალი, უფრო მაღალი ეტაპი საბჭოთა ავიაციის განვითარებაში და სრულყოფაში. საბჭოთა საჰაერო ფლოტი ყოველწლიურად იღებს ახალ, სულ უფრო სრულყოფილ საავიაციო ტექნიკას. ახლა მფრინავები დაფრინავენ ბგერის სისწრაფეზე მეტი სისწრაფის მქონე გამანადგურებელი თვითმფრინავებით. სულ უფრო იზრდება რეაქტიული თვითმფრინავების ფრენის რადიუსი.

ახალი საავიაციო ტექნიკის შექმნაში დიდი დამსახურება მიუძღვით საბჭოთა მეცნიერებს, თვითმფრინავებისა და ძრავების წამყვან კონსტრუქტორებს — ა. ნ. ტუპოლევს, ს. ვ. ილიუშინს, ა. ი. მიქოიანს, მ. ი. გურევიჩს, ვ. მ. მიასიშჩევს, ა. ს. იაკოვლევს, ს. ა. ლავოჩკინს, პ. ო. სუხოის, ვ. ი. კლიმოვს, ს. კ. ტუმანსკის, ა. მ. ლიულკას, ო. კ. ანტონოვს და საავიაციო მრეწველობის ბევრ სხვა მუშაკს.

წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება სამოქალაქო საჰაერო ფლოტი, რომელიც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მუშაკები, რომლებმაც გააჩაღეს საბჭოთა ხელისუფლების მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, წარმატებით ახორციელებენ სკკპ XX ყრილობის დირექტივებს, რომლებითაც გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედში საჰაერო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის გადიდება ერთიორად, ხოლო მგზავრთა გადაყვანის მოცულობისა — დაახლოებით 3,8-ჯერ. სამოქალაქო ავიაციას წლითიწლობით ემატება თანამედროვე მანქანები. 1957 წელს ძირითად მაგისტრალურ ხაზებზე საექსპლოატაციოდ გადაცემულია 50-ადგილიანი რეაქტიული თვითმფრინავები „ტუ-104“, რომელთა კრეისერული სიჩქარეა 800 კილომეტრი საათში. ასეთი მანქანები ჯერ არც ამერიკის შეერთებულ შტატებშია, არც ინგლისში.

უახლოეს ხანში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 70-ადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ-104“. ახლა ცდიან ო. კ. ანტონოვის კონსტრუქციის ტურბინხრახნიან თვითმფრინავს „უკრაინას“, რომლის კრეისერული სისწრაფე საათში 600 კილომეტრია. იგი გათვალისწინებულია 84 მგზავრის გადაყვანისა და 3,5 ტონა ტვირთის გადაზიდვისათვის.

საბჭოთა ავიაციის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ წითელი დროშის ორდენოსან სრულიად საკავშირო ნებაყოფლობით საზოგადოებას. მის ორგანიზაციებში ათასობით საბჭოთა ჭაბუკი და ქალიშვილი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ეუფლება სხვადასხვა საავიაციო სპეციალობას.

ყოველწლიურად იზრდება და ფართოვდება საბჭოთა საავიაციო სპორტსმენების: ავიამოდელისტების, პლანერისტების, პარაშუტისტების, ჰაერნაოსნების, მფრინავების სახელოვანი რაზმი.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საავიაციო სპორტსმენებმა დაამყარეს 584 სრულიად საკავშირო რეკორდი, რომელთაგან 224 შეტანილია მსოფლიოს რეკორდების ცხრილში.

საბჭოთა ხალხი და კომუნისტური პარტია ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენი ავიაცია იყოს კიდევ უფრო მძლავრი, როგორც ეს შეეფერება კომუნიზმის მშენებელ ქვეყანას.

საბჭოთა ავიატორები არმიასთან და ფლოტთან ერთად ფხიზლად იცავენ ჩვენი ხალხის მშვიდობიან შრომას, სამშობლოს სახელმწიფო ინტერესებს.

## ოცი წლის შემდეგ

ეს იყო 1937 წელს. სკოლაში ყოფნის სასიამოვნო დღეები დასასრულს უახლოვდებოდა. აი უკვე ჩაბარებულია სიმწიფის ატესტატის უკანასკნელი გამოცდა და ი. ჭავჭავაძის სახელობის ყოფილი მესამე საცდელ-საჩვენებელი სკოლის კურსდამთავრებულთა, ისე როგორც ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის მთელი ახალგაზრდობის წინაშე, იხსნება ცხოვრების ფართო, ნათელი გზა. ხაწყენი იყო სკოლის საინტერესო და შინაარსიან ცხოვრებასთან, საყვარელ მასწავლებლებთან განშორება. გამოსაშვებ საღამოზე ისინი დაჰპირდნენ არ დაევიწყებინათ მშობლიური სკოლა.

გავიდა 20 წელი. ახლა ოცდამესამე სკოლის მაშინდელი კურსდამთავრებულნი არიან გამოცდილი ექიმები, ინჟინრები, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწენი, ნაყოფიერად შრომობენ განათლებისა და ხელოვნების დარგში, პარტიულ სამუშაოზე.

სოციალისტური ქალაქის რუსთავის მშენებლობის გენერალური გეგმის ერთ-ერთი ავტორია 23-ე სკოლის ყოფილი მოსწავლე საქსახპროექტის არქიტექტორი დ. მელიქიშვილი. ამ გეგმას ახორციელებს მისი თანაკლასელი ინჟინერი ა. გოგატიშვილი, რომელიც ხელმძღვანელობს ქალაქ რუსთავის საბინაო მშენებლობას. არაერთ საინტერესო მუშაობაში მოუხდა მონაწილეობა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ვ. შაფაქიძეს. ნახევარგამტართა ფიზიკის პრობლემებზე მუშაობს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ჭრელაშვილი. ექიმ-ფსიქიატრის ძნელ ასპარეზზე მუშაობს ნ. კოშაძე.

დიდ სამამულო ომში ამ სკოლის ბევრი კურსდამთავრებული, ისე როგორც მილიონობით საბჭოთა ადამიანი, იარაღით იცავდა სამშობლოს.

მაგრამ სადაც უნდა ყოფილიყვნენ — საწარმოს საამქროებში, მშენებლობაზე, ომში თუ ინსტიტუტის ლაბორატორიაში, მათ მუდამ ახსოვდათ თავიანთი საყვარელი მასწავლებლები.

ამ დღეებში 23-ე სკოლაში (ყოფილ მესამე საცდელ-საჩვენებელ სკოლაში) გაიმართა დაუვიწყარი შეხვედრა. მშობლიურ სკოლაში სტუმრად მოვიდნენ ისინი, ვინც იგი დაამთავრა 20 წლის წინათ... გაისმის სასკოლო ზარის წკრიალი. „მოსწავლეები“ ხუმრობით და სიცილით, მაგრამ აღელვებულნი შედიან კლასებში და სხდებიან „თავიანთ“ მერხებზე. ჯგუფის ორგანიზატორი არქიტექტორი ი. კვიტაშვილი ატარებს გამოძახებას. ორ მეათე კლასში შეიკრიბა 56 „მოსწავლე“. კითხულობენ ლვოვიდან მიღებულ მისალოც დეპეშას, რომელიც გამოუგზავნია იქ მივლინებაში მყოფ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სამშენებლო საამქროს უფროსს ს. ფერაძეს. „მოსწავლეები“ ერთხელ კიდევ მხურვალე მადლობას უძღვნიან თავიანთ მასწავლებლებს. სიყვარულით ჩამოუვლიან საკლასო ოთახებს, ეცნობიან კარგად მოწყობილ სასკოლო სახელოსნოებს, კაბინეტებს, ლაბორატორიებს. (საქინფორმი).




## 18 ივნისის (1 ივლისის) დემონსტრაცია
(40 წლისთავის გამო)

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ პოლიტიკას რუსეთი კატასტროფისაკენ მიჰყავდა. ექსპლოატატორული კლასების ინტერესებისათვის დაწყებული იმპერიალისტური ომი კვლავ გრძელდებოდა, ეკონომიკა მოიშალა, მშრომელი მასების ისედაც აუტანელი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ქვეყანას შიმშილი ემუქრებოდა. ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა სასტიკ რეპრესიულ ზომებს ახორციელებდა რევოლუციური ძალების წინააღმდეგ. პრესაში გამოქვეყნდა ცნობები დროებითი მთავრობის განზრახვის შესახებ მოეხდინა უდიდეს საწარმოთა ევაკუაცია პეტროგრადიდან, რათა ეს უკანასკნელი განეტვირთა რევოლუციური მუშათა მასებისაგან.

მუშათა და გლეხთა მასების უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა, ისინი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის სისწორეში და ირაზმებოდნენ მისი ლოზუნგების გარშემო.

1917 წლის ივნისში პეტროგრადში უაღრესად მწვავე პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. ბოლშევიკურ პარტიას საჭიროდ მიაჩნდა, სტიქიურად მზარდი მუშათა უკმაყოფილება წარემართა ორგანიზებული ბრძოლის გზით. ამ მიზნით 6 (19) ივნისს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პეტროგრადის კომიტეტმა და ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციის გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება მოეწყოთ 10 ივნისს დემონსტრაცია. დემონსტრაციას საბჭოების პირველი ყრილობის წინაშე უნდა გამოეხატა მუშათა და ჯარისკაცთა მისწრაფება საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლისაკენ.

ბოლშევიკების ამ გადაწყვეტილების გამო შემთანხმებლურმა პარტიებმა ღმუილი ატეხეს. საბჭოების ყრილობამ, სადაც უმრავლესობა მშრომელთა მოღალატეების პარტიებს — მენშევიკებისა და ესერების პარტიებს ჰყავდათ, გაილაშქრა დემონსტრაციის წინააღმდეგ. სამი დღით — 10, 11, 12 ივნისს — აკრძალულ იქნა ყოველგვარი დემონსტრაცია. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა დამორჩილებოდა ყრილობას და 9 ივნისს საღამოს მიიღო გადაწყვეტილება დემონსტრაციის გადადების შესახებ. ეს იყო უაღრესად ბრძნული გადაწყვეტილება. საბჭოების ყრილობისადმი დაუმორჩილებლობა შემთანხმებლურ პარტიებს მისცემდა იარაღს ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბოლშევიკებმა შეძლეს დაერწმუნებინათ მუშათა და ჯარისკაცთა მასები დამორჩილებოდნენ ყრილობის გადაწყვეტილებას დემონსტრაციის გადადების შესახებ.

მაგრამ მიზეზები, რომლებიც უბიძგებდნენ მუშათა და ჯარისკაცთა მასებს დემონსტრაციისაკენ, განაგრძობდნენ მოქმედებას. საბჭოების ყრილობა იძულებული იყო წასულიყო მასების წინაშე დათმობაზე და დაენიშნა დემონსტრაცია 18 ივნისისათვის. მენშევიკები და ესერები იმედოვნებდნენ, რომ დემონსტრაციას ჩაატარებდნენ თავიანთი შემთანხმებლური ლოზუნგებით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დემონსტრაციის დღედ 18 ივნისი შემთხვევით როდი იყო შერჩეული. ამ დღეს უნდა დაწყებულიყო რუსეთის ჯარების შეტევა ფრონტზე. მენშევიკებსა და ესერებს სურდათ დემონსტრაციის მოწყობით გამოეხატათ საბჭოების ყრილობის მხარდაჭერა ფრონტზე შეტევისადმი. მაგრამ მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით დიდი მუშაობა გააჩაღეს დემონსტრაციისათვის. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა მუშათა და ჯარისკაცთა მასებს დემონსტრაციაზე გამოსულიყვნენ ლოზუნგებით: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“, „ძირს ათი მინისტრი — კაპიტალისტი“, „მუშათა კონტროლი წარმოებისადმი“, „პური, ზავი, თავისუფლება“.

18 ივნისს (ახალი სტილით 1 ივლისს) პეტროგრადის ქუჩები მუშებით და ჯარისკაცებით აივსო. ქალაქის ყველა კუთხიდან ცენტრისაკენ დაიძრა ათეულათასობით დემონსტრანტი. მათ მოჰქონდათ წითელი დროშები და რევოლუციური პლაკატები. მთელმა დემონსტრაციამ, რომელიც რევოლუციის მსხვერპლთა საფლავთან მოხდა და რომელშიც 500 ათასი კაცი მონაწილეობდა, ბოლშევიკური ლოზუნგებით ჩაიარა.

ვ. ი. ლენინი, აფასებდა რა 18 ივნისის დემონსტრაციის მნიშვნელობას, წერდა:

„18 ივნისის დემონსტრაცია გახდა რევოლუციური პროლეტარიატის ძალებისა და პოლიტიკის დემონსტრაცია — პროლეტარიატისა, რომელიც გვიჩვენებს რევოლუციის მიმართულებას, გვიჩვენებს ჩიხიდან გამოსავალს. ამაშია კვირის დემონსტრაციის გიგანტური ისტორიული მნიშვნელობა, ამაშია მისი პრინციპული განსხვავება რევოლუციის მსხვერპლთა დაკრძალვის დღისა და 1 მაისის დღის დემონსტრაციებისაგან. მაშინ ეს იყო რევოლუციის პირველი გამარჯვებისა და მისი გმირების საყოველთაო პატივისცემა; მაშინ ხალხმა უკან გადაავლო თვალი თავისუფლების გზის პირველ ეტაპს, რომელიც მან უაღრესად სწრაფად და უაღრესად წარმატებით გაიარა. პირველი მაისი იყო დღესასწაული იმ სურვილებისა და იმედებისა, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორიასთან, ამ მოძრაობის იდეალთან მშვიდობიანობისა და სოციალიზმის შესახებ.

არც ერთი, არც მეორე დემონსტრაცია მიზნად არ ისახავდა მიეთითებინა რევოლუციის შემდგომი მოძრაობის მიმართულებაზე და ვერც მიუთითებდა. არც ერთი, არც მეორე დემონსტრაცია არ სახავდა მასების წინაშე და მასების სახელით კონკრეტულ, განსაზღვრულ, საჭირბოროტო საკითხებს, თუ საითკენ და როგორ უნდა წავიდეს რევოლუცია.

ამ აზრით 18 ივნისი იყო მოქმედების პირველი პოლიტიკური დემონსტრაცია, განმარტება — არა წიგნაკში ან გაზეთში, არამედ ქუჩაში, არა ბელადების მეშვეობით, არამედ მასების მეშვეობით — განმარტება იმისა, თუ როგორ მოქმედებს სხვადასხვა კლასი, როგორ სურთ იმოქმედონ და როგორ იმოქმედებენ ისინი, რომ რევოლუცია შემდგომი გზით წარმართონ“ (თხზ., ტომი 25, გვ. 120).

18 ივნისის დემონსტრაციამ, რომელმაც ცხადყო მასების მზარდი ნდობა ბოლშევიკური პარტიისადმი, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდისათვის მუშათა და ჯარისკაცთა დასარაზმავად.

* * *



სურათზე: 1917 წლის 18 ივნისის (1 ივლისის) დემონსტრაცია პეტროგრადში.

## ამბები საწარმოებიდან

⊙ ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში ბოლო დროს თავი ისახელა საგლინავი საამქროს იმ კომკავშირული ცვლის კოლექტივმა, რომელსაც ნ. ჭანტურიძე ხელმძღვანელობს. ამ ცვლამ 15 ივნისისათვის ყველაზე მეტი რაოდენობით გამოუშვა ზეგეგმითი ნაგლინი.

⊙ თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ლიუბერცის ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივს ეჯიბრება, მაისში უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა და ამ თვის მაჩვენებლებით გაიმარჯვა.

⊙ სოფელ არგვეთაში წარმატებით მიმდინარეობს შამპანკომბინატის ღვინის ახალი ქარხნის მშენებლობა. მიმდინარე წლის 7 ივნისისათვის მშენებლებმა უკვე შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა.





თვალს იტაცებს ბორჯომის მიდამოები, ლამაზად გაშენებული ბაღები, პარკები. ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის რომელი კუთხიდან არ ნახავთ აქ დამსვენებლებს. იგი სახელგანთქმულია აგრეთვე თავისი ძვირფასი წყლით. სურათებზე: ზევით — ბორჯომპარკის ერთი კუთხე; ქვევით — ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხნის შენობა.

ფოტო შ. კუკულავასი.

## კორესპონდენტები გვატყობინებენ

### წყალსადენი კოლმეურნეობაში

სოფელ ავლევის (ქარელის რაიონი) მცხოვრებთ წყლის ზიდვა შორი მანძილიდან უხდებოდათ. კოლმეურნეობის საერთო კრებამ გამოიტანა დადგენილება სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის შესახებ. დადგენილება სისრულეში იქნა მოყვანილი. სამი კილომეტრის მანძილიდან გაყვანილ იქნა სუფთა წყაროს წყალი, რომლის დებიტი მთლიანად აკმაყოფილებს სოფელს და საკოლმეურნეო ფერმებს. უბნებში შვიდ ადგილას მოწყობილია შადრევნები. (საკ. კორ.).

### ახალი მაღაზიები

მოსახლეობისა და დამსვენებელთა უკეთ მომსახურების მიზნით უკანასკნელ ხანს კურორტვაჭრობის ბორჯომის განყოფილებამ სურამში გახსნა სასურსათო და სამრეწველო საქონლის რამდენიმე მაღაზია. ამ დღეებში სურამის სოფლის კოოპერატივის გამგეობამ დაბის ცენტრში გახსნა აგრეთვე ახალი საკომისიო მაღაზია, რომელიც უზრუნველყოფილია თევზეულით, ხორცით, ცხიმეულითა და ბოსტნეულით. (საკ. კორ.).

### აგიტმხატვრული ბრიგადა მინდვრად

ცაგერის რაიონის საირმის სასოფლო კლუბთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადა სისტემატურ მომსახურებას უწევს კოლმეურნეობებს. ამ დღეებში ბრიგადა ეწვია მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებს, შემდეგ კი ფერმის მწყემსებს. მოხსენება „სიმინდი ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა“ წაიკითხა ც. ხუციძემ. გაიმართა კონცერტი. საირმის სასოფლო კლუბი მომავალშიც გაუწევს კულტურულ მომსახურებას მემინდვრეებს და ფერმის მუშაკებს. („კომუნისტის“ კორ.).

### სოფლის რადიოფიკაცია

სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება დმანისის რაიონის სოფელ კამარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. სოფელში მუშაობს სკოლა, კლუბი, სამკითხველო და სოფლის მაღაზია. სოფლის მოსახლეობამ წელს ახალი საჩუქარი მიიღო. კოლმეურნეობამ თავისი სახსრებით მოაწყო რადიოკვანძი, რომელიც მომსახურებას უწევს 200 კოლმეურნის ოჯახს. ახლო მომავალში რადიოფიცირებული იქნება ამავე კოლმეურნეობაში შემავალი სოფელი შახმარლო. რადიო გაყვანილია აგრეთვე სკოლაში, კლუბში და კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებში. (საკ. კორ.).

### საკოლმეურნეო კლუბი

ბოლნისის რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა სოფელ არახლოს კოლმეურნეობა. უკანასკნელ წლებში აქ მოეწყო სასმელი წყლის ჰები, აშენდა აბანო და სხვ. მაგრამ ყველაზე კარგი საჩუქარი კოლმეურნეებმა ამ დღეებში მიიღეს. კოლმეურნეობამ ააშენა კლუბი, რომელიც 400 კაცს იტევს. კლუბი არქიტექტურულ ად კარგად არის გაფორმებული, აქვს მოწყობილი სცენა, მოსაცდელი ოთახი. აქვე მოთავსდა სოფლის ბიბლიოთეკა. კლუბის წინ გაშენებულია ბაღი, სადაც დაირგო მრავალი დეკორაციული მცენარე და ყვავილი. (საკ. კორ.).

### საინკუბატორო სადგურში

თეთრი წყაროს რაიონის საინკუბატორო სადგურის მეფრინველეთა კოლექტივი წელს პრაქტიკაში პირველად იყენებს წიწილების ადგილობრივ გაზრდის მოწინავე მეთოდს. თუ წინა წლებში რაიონის მეფრინველეობის ფერმები საინკუბატორო სადგურიდან გასაზრდელად ახლადგამოჩეკილ წიწილებს იღებდნენ, ამჟამად ფერმები იღებენ 20 დღის წიწილებს, რომლებსაც ამ ხნის განმავლობაში საინკუბატორო სადგურში უვლიან. საინკუბატორო სადგურმა უკვე მისცა კოლმეურნეობათა მეფრინველეობის ფერმებს 20 დღემდე გაზრდილი ათასობით ფრთა წიწილა. („კომუნისტის“ კორ.).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდები უმღერიან ბედნიერ აწმყოს, წარმტაც მომა[illegible]

## ჭაბუკებისა და ქალიშვილების სიხარული, დიდი ზეიმი



(დასასრული)

ორკესტრის საზეიმო მარშით შემოდიან დელეგაციები და იკავებენ ადგილებს მოედანზე.

საღამოს 6 საათი და 30 წუთია. სტადიონის ესტრადაზე გამოდიან ფანფარისტები, რომლებიც დამსწრეთ აუწყებენ ზეიმის დაწყებას. მიკროფონთან მიდის პირველი რესპუბლიკური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. თ. ჯანელიძე. მიესალმება რა ფესტივალის მონაწილეებს, იგი სიტყვას აძლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ი. დოლიძეს.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხ. დოლიძე ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან ახალგაზრდობას ულოცავს ფესტივალის დაწყებას — სილამაზისა და ძლიერების ამ დღესასწაულს. იგი ლაპარაკობს ჩვენს ახალგაზრდობაზე, რომელმაც თავისი თავდადებული შრომით, ბეჯითი სწავლით მოიხვეჭა ხალხის სიყვარული, პარტიისა და მთავრობის ნდობა და სიყვარული, და მოუწოდებს ახალგაზრდებს კვლავაც მაღლა ეპყრათ კომუნიზმისათვის ბრძოლის სახელოვანი დროშა. — გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობას, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას! — ამხ. ი. დოლიძის ამ სიტყვებს დამსწრენი მხურვალე ოვაციით ხვდებიან. ცაში იჭრებიან შუშხუნები და ათასობით მტრედები. ამ დროს მთიდან საოცარი გამბედაობით და ოსტატობით ეშვებიან ცხენოსნები და მოედანზე შემოაქვთ ჩირაღდნები.

ინთება დიდი საფესტივალო ჩირაღდანი. სატელევიზიო ანძაზე, ფუნიკულიორის გორაზე აფრიალდა უზარმაზარი საფესტივალო ალამი.

ფესტივალი გახსნილად ცხადდება. ისმის საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნების დიდებული მელოდიები. მოედანზე საფესტივალო ალამთან საპატიო ყარაულში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დავალებით დგებიან ნორჩი პიონერები.

გაისმის შეძახილი: „ყურადღება!“, „სმენა“!

იწყება დელეგაციების საზეიმო სვლა ორკესტრების მარშით. მოდიან მზიური აფხაზეთის, აყვავებული აჭარის, სამხრეთ-ოსეთის და რესპუბლიკის სხვა დელეგაციების თვალწარმტაცი, მომხიბვლელად გაფორმებული კოლონები. მათი საზეიმო გაფორმება მეტყველებს ახალგაზრდობის თავდადებულ შრომაზე, მათს ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის მზადებაზე, ძალასა და ძლიერებაზე, სამშობლოსადმი თავდადებასა და სიყვარულზე. განსაკუთრებული მოწონება ხვდათ აფხაზეთის, აჭარის, ფოთის, სამტრედიის, თიანეთის, სვანეთის, მახარაძის და სხვა დელეგაციებს. ისინი განსაცვიფრებელი ოსტატობითა და სილამაზით შესრულებული ცეკვებითა და სიმღერებით მიდიოდნენ ტრიბუნების წინ და მათ დამსახურებული მხურვალე ოვაციებით აჯილდოებდნენ მაყურებელნი. მეტად ორიგინალური და მიმზიდველი იყო ფოთის დელეგაციის გამოსვლა, რომელმაც თბომავალ „ორშას“ დიდებული, ულამაზესი მაკეტი გამოატარა ტრიბუნებთან თავის „ეკიპაჟითა“ და ფოთის დელეგაციის ლამაზად გამოწყობილი წევრებით. სივრცეში მაღლამაღლ აიჭრებოდნენ ხოლმე ფერად-ფერადი შუშხუნები. ათასობით მტრედი დაჰფარფატებდა თავს სტადიონს.

სტადიონზე იმართება ფიზკულტურულ-სპორტული ვარჯიშები და სანახაობანი. ერთიმეორეს სცვლიან რესპუბლიკის სახელოვანი სპორტსმენები. აღფრთოვანება გამოიწვია მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა მრავალი ასეული ბავშვისაგან შემდგარი გუნდის რთულმა და ულამაზესმა ნომრებმა. ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ამ ნომრების ასე კარგად შესრულება უთუოდ მეტყველებს მისი ხელმძღვანელის ამხ. ვ. მარსაგიშვილის ენერგიულ მუშაობაზე.

ესტრადაზეა კაპელა. იგი ორკესტრის თანხლებით ასრულებს დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნს. მისი დიდებული მელოდია ეფინება ამწვანებულ, მოზეიმე სტადიონის მიდამოებს.

დიდხანს, გვიან ღამემდე გრძელდებოდა სტადიონ „ბურევესტნიკზე“ ახალგაზრდობის თვალწარმტაცი ზეიმი — დღესასწაული, მომხიბვლავი სანახაობანი მშვიდობის, ძალისა და სილამაზის სიმბოლო, მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის, კაცობრიობის ბედნიერების სიმბოლო.

და არა მარტო „ბურევესტნიკზე“ იყო ეს დღესასწაული — მთელი ქალაქი, მისი მწვანე პარკები და მოედნები, ქუჩები და ბაღები ზეიმობდნენ.

ვ. თორდუა.

* * *



გუშინ ვაკის სტადიონ „ბურევესტნიკზე“. სურათებზე: — ზევიდან: ჩირაღდნების გადაცემა; სამტრედიის რაიონის დელეგაციის საზეიმო სვლა; ქალაქ ფოთის ახალგაზრდობის დელეგაცია თბომავალ „ორშის“ მაკეტზე.

## ყვავილებით შემ[illegible]



არაჩვეულებრივი სანახავია თბილისი. ქალაქის ბუნებრივი სილამაზე მხატვრების ფუნჯს კიდევ უფრო გაუმშვენიერებია და ახლა მართლაც რომ მომხიბლავია მისი ქუჩები და მოედნები, ბაღები და სკვერები. ათასფერი დროშები და ყვავილწნულები აუსხამს ხეებს და სახლებს, თითქოს ცის შულამაზებაც კი მოუნდომებიათ ახალგაზრდებს, და მხატვრის ხელით დახატულ დიდ ტილოებს — ცის კამარას და ზედ მშვიდობის ემბლემას — მტრედებს ნელა არხევს სიო. სახლების ფასადებზე თუ კედლებზე ცნობილ ქართველ მწერალთა პორტრეტებია გამოკრული. ძნელია აღწერა ახალგაზრდობის ზეიმისათვის მორთული ჩვენი დედაქალაქისა...

განსაკუთრებით მშვენიერია თბილისის ცენტრალური მაგისტრალი — რუსთაველის პროსპექტი. აუარებელი ხალხი გამოსულა გარეთ. ყველას, დიდსა და პატარას, სახეზე ღიმილი დასთამაშებს. დღეს ხომ სიჭაბუკის დღესასწაულია, დღეს ხომ მშვიდობისა და სიყვარულის ზეიმია. გული სიხარულით ივსება. გინდა შენც იმღერო, იმხიარულო, შეუერთდე ჭაბუკებისა და ქალიშვილების ზეიმს... ბევრი, ძალიან ბევრი რამ აქვთ სანახავი ამ დღეს თბილისელებს.

ეს რაღაა? მწვანე სახლი ლენინის მოედანზე? წითელ-ყვითელი ვარდები შორიდანვე ელამუნება თვალს. პატარ-პატარა ქოთნებში კოხტად ჩარგულია მოვარდისფრო ამარილისები, სხვადასხვა ფერის ბეგონიები, კონა-კონად შეკრული მინდვრის ყვავილები.

— რა მშვენიერი ყვავილებია, რამდენნაირია... — აღტაცებას გამოთქვამს თეთრბანტიანი გოგონა.

— ეს ყვავილები, — უპასუხებს გამყიდველი, — საქართველოს ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალურმა სადგურმა გამოგზავნა საფესტივალო ყვავილების ბაზრობაზე.

აგერ მეორე მხარე ლენინის მოედნისა. აქაც ყვავილების ლამაზი კუთხეა მოწყობილი. მყიდველები მეტ წილად გოგონები არიან. ისინი აქვე თმაში იწნავენ წითელ და თეთრ ყვავილებს და ყვავილებივით მშვენიერები მიჰყვებიან პროსპექტს. და მთელი პროსპექტის გაყოლებით მრავალ ადგილას შეხვდებით სხვადასხვანაირ „მწვანე სახლებს“. რუსთაველის ძეგლთან ორჯონიკიძის რაიონის გამწვანების ტრესტს აუგია „მწვანე კარავი“, რომლის კედლებზეც მძივებივით არის ასხმული ფერადფერადი ყვავილები. გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობის წინ მოწყობილი „მწვანე სახლი“ ულრანი ტყის პატარა კუთხეს მოგაგონებთ. — ხავსით შემოსილი ბებერი ხეები გაწოლილან და აყუდებულან პროსპექტზე და ოთხკუთხედი შეუკრავთ, მათზე ჩიტის ბუდეებია მიშენებული. აქვეა ყვავილებით დაწნული კალათები, უამრავი ვარდები. კიდევ უფრო მომხიბლავია ოპერის თეატრის მოპირდაპირე მხარეს მოთავსებული ყვავილების პავილიონი. აქ ბალახით შემკული „მინდორია“, სხვადასხვა ფერის ყვავილებით მოჩითული. იქვე ხეების ტოტებში მშვიდად სხედან თეთრი და რუხი ფერის ცოცხალი მტრედები.

ყვავილების ბაზრობისათვის დიდხანს ემზადებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი ნატურალისტები, გამწვანების ტრესტების მუშაკები. სოხუმიდან, ბათუმიდან და რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან გამოგზავნილი მათ მიერ გამოყვანილი ყვავილები კიდევ უფრო ამშვენებენ საზეიმოდ მორთულ თბილისს.

დღეს კიდევ უფრო მიმზიდველი იქნება ყვავილების ბაზრობა. პავილიონებში მყიდველებს მოემსახურებიან ჩვენი დედაქალაქის თეატრების მსახიობები.

ლ. ხუბულური.

სურათზე: ყვავილების ბაზრობა რუსთაველის მოედანზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

# სტადიონებზე, სპორტულ ბაზებზე, მოედნებზე

### პირველი საფესტივალო რეკორდი

„დინამოს“ სტადიონი. ბევრს უნახავს იგი საკავშირო ჩემპიონატებისა, ან საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ცხარე დღეებში, მაგრამ ახლა მას სულ სხვა იერი აქვს, უფრო ამაყად, მიმზიდველად გამოიყურება.

სარბენ ბილიკებზე უჩვეულო გამოცოცხლებაა. ზოგი სტარტის აღებას ამოწმებს, ზოგი კი თარჯებზე ვარჯიშობს; ცოტა მოშორებით შუბსა და ბადროს ტყორცნიან, იქვე ახლოს ჭოკით ხელში ძლევენ ახალ-ახალ სიმაღლეებს.

მსაჯის დამბაჩის ხმამ ჰაერი გააპო, სპორტსმენები ადგილიდან სწრაფად მოსწყდნენ, დისტანციაზე მეტოქეთა ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. ეს იყო შეჯიბრება საფესტივალო და რესპუბლიკური ჩემპიონატისა და მძლეოსნობის ერთ-ერთ სახეობაში 100 მეტრზე რბენაში.

დასკვნითი შეხვედრები. ვაჟთა ექვსეულში უძლიერესი იყო სპორტის ოსტატი ლ. სანაძე, რომელმაც დისტანცია გაირბინა 10,8 წამში, ხოლო ქალთა შორის — ა. ოვივიანი (12,6 წამი). სპრინტერთა ბრძოლას მოჰყვა შეჯიბრება 400, 800, 1.500 და 10.000 მეტრზე რბენაში. აქ გაიმარჯვეს ა. კრივოშეევმა, ლ. თოფჩიშვილმა, ვ. პოზდნარმა და ი. უშაკოვმა.

ვაჟთა შორის გაიმართა აგრეთვე შეუპოვარი ბრძოლა თარჯრბენში 110 მეტრზე, სიმაღლეზე ხტომაში, შუბისა და ბადროს ტყორცნაში. პირველი რესპუბლიკური ფესტივალის ჩემპიონები გახდნენ მ. ტუღუში (15,2 წამი), რ. შავლაყაძე (195 სანტიმეტრი), ი. წულუკიძე (63 მეტრი და 15 სანტიმეტრი), ვ. ბლიაძე (48 მეტრი და 60 სანტიმეტრი).

ასპარეზობას იწყებენ შუბის მტყორცნელი ქალები. პირველ ტყორცნას მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე... დიქ-



შუბის ტყორცნაში გამარჯვებული გ. ბრიტვინა.

* * *

ტორი გ. ბრიტვინას ორ წარმატებას გამცნობს. მისი უკანასკნელი შედეგი 8 მეტრი და 8 სანტიმეტრი იყო. არის ახალი რესპუბლიკური და საფესტივალო რეკორდი!

ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალს ქალთა შეჯიბრებას გამორბენით სიგრძეზე ხტომაში, სადაც მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მძლეოსანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დვალიშვილი. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ შეჯიბრებაში მან გაიმარჯვა. მისი შედეგია 5 მეტრი და 67 სანტიმეტრი. სიმაღლეზე ხტომაში ჩემპიონი გახდა ს. როზანოვა (155 სანტიმეტრი), ხოლო ბადროს ტყორცნაში — აჭარის გუნდის წარმომადგენელი ლ. ტუღუში (45 მეტრი და 89 სანტიმეტრი).



ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი მომენტი.

* * *

მძლეოსანთა საფესტივალო შეჯიბრება წარმატებით გრძელდება.

### მტკვრის სანაპიროზე, ზურნის ჰანგებზე

სტალინის სახელობის სანაპირო. „დინამოს“ ჩოგბურთის სტადიონი. სასპორტო მოედნები... ზურნის ნაცნობი ჰანგები ქართულ ჭიდაობას გვამცნობს. კუნთმაგარი, ბრგე ვაჟკაცები აქ რამდენიმე დღეა ერთმანეთს პირველობას ეცილებიან, იბრძვიან არა მარტო საქართველოს პირველობისათვის, არამედ საფესტივალო პრიზის მოპოვებისთვისაც. აქ ქართული ჭიდაობის მაღალი ოსტატობით თავი გამოიჩინეს ზ. ჩიკვილაძისა და ა. ვარდოევის, გ. სიმონიშვილისა და თ. ელერდაშვილის, ა. ზურაბაულისა და დ. ჩაჩანიძის წყვილებმა, სადაც გამარჯვებულები გამოვიდნენ ზ. ჩიკვილაძე, გ. სიმონიშვილი და ა. ზურაბაული.

დღეს გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები.

### ჩოგანსა სცემენ ქართველი ვაჟკაცები

ამ დღეებში ვიუწყებოდით ცხენოსნობაში საქართველოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშების შედეგებზე: ახლა კვლავ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე გვიხდება ლაპარაკი. საქმე იმაშია, რომ მაშინ შეჯიბრება ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში მოეწყო, ხოლო ახლა მიმდინარეობს ეროვნულ სახეობებში. რა შედის ამ სახეობებში? ეს არის ცხენბურთი, რომელიც ფეხბურთს წააგავს, სადაც ქართველი მხედრები კარზე იერიშისათვის ჩოგანს იყენებენ. ცხენოსნური სპორტის ამ სახეობის საუკეთესო წარმომადგენლები მოსკოვში გაიგზავნებიან მსოფლიოს ახალგაზრდობის VI ფესტივალზე.

მაგრამ განა ამით ამოიწურება საფესტივალო და რესპუბლიკური ჩემპიონატი! დელისის იპოდრომზე მაყურებლები ხედავენ მხედართა შესანიშნავ ოსტატობას ყაბახში, ჩეხვაში, ისინდში, დოღებში, მარულაში.

### საცურაო ბილიკებზე

ზაფხულის დღეებში ადამიანს განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრის წყლის სპორტი — ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ნიჩბოსნობა. ამიტომ არის, რომ თბილისის ფიზკულტურელთა პარკის საცურაო აუზი ამ დღეებში სპორტის მრავალ მოყვარულს იზიდავს.

აქ მიმდინარეობს რესპუბლიკური ჩემპიონატი ცურვაში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს საფესტივალო პირველობას.

უკვე გამოვლინდნენ ახალი ჩემპიონები. ვინ არიან ისინი? ქალთა შორის 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში — ა. მორგუნენკო, ვაჟთა შორის — ი. ჩოდრიშვილი, ქალთა შორის დელფინის სტილით ცურვაში — ე. შავდია და სხვ.

* * *

აქ ჩვენ ჩამოვთვალეთ ნაწილი იმ შეხვედრებისა, რომლებიც საქართველოს ახალგაზრდობის პირველ ფესტივალს მიეძღვნა. მეგობრობის მატჩები მიმდინარეობს აგრეთვე კალათბურთში, ფრენბურთში, სროლაში და სპორტის სხვა სახეობაში.

ზეიმობს ახალგაზრდობა, ჩვენი პირმშო და სიხარული, ზეიმობენ სპორტსმენები.

ვ. გაბელია.

# საფესტივალო

ზეიმი გვაქვს!..
ლამაზებო,
თვალწარმტაცბგადახატულებო,
მოციმციმე ვარსკვლავებო,
მანანებო, ხათუნებო;
გამობრწყინდით ოქრომკედით,
ქართულ კაბის შარიშურით,
შეარხიეთ საროსტანი,
ნაწნავები ჩაგიშრული!
გამობრწყინდით საზეიმოდ,
მოგვალხინეთ დაირითა...
თქვენ რომ მღერით, ნეტარებით
იალბუზიც გაირინდა!
თქვენ რომ მღერით, ცას და მიწას
ემატება ბრწყინვალება
და შვიდფერი სამკაული
დაიმშვენეს მყინვარებმა...
თუ წინაპრებს ჩანგთა ჟღერით
უთესიათ ქართლში შვება, —
და მტარვალებს თავზარს სცემდა
მათი ხმლების გაშიშვლება.
თქვენც ხომ გმირთა მოდგმისა ხართ,
მოხეთქილო ჭაბუკებო,
ლხინში ტკბილო სიმღერებო,
ომში — ტყვიის ქარბუქებო.
მიეშველეთ ნესტანქალებს
ფერხულით და შაირითა,
მოძმე ხალხთა სიმღერები
თქვენს ჰანგებში გაირითმა!
მიეშველეთ...
დიდ მოსკოვში
რომ ფრთაგაშლილ არწივს ჰგავდეთ!
თქვან:
— მზიური საქართველო
სულ მღერის და სულ ბრწყინვალებს!..
ზეიმი გვაქვს!..
მზე გვიცინის!..
შუქი ელავს უქრობელი!
ძმობამ ბევრი მოგვიტანა,
უნდა შევქმნათ უფრო ბევრი!
ზეიმი გვაქვს!
ვაჟკაცებო
და ლამაზო ხათუნებო,
მოციმციმე ვარსკვლავებო,
თვალწარმბგადახატულებო.

არჩილ გურჯიძე.

# პიონერთა სასახლის ბაღში

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბაღში ელექტროლამპიონების ნაირფერი სხივები შუქს აფრქვევენ გარემოს. ყოველი კუთხიდან ჭაბუკებისა და ქალიშვილების ჟრიამული ისმის.

ნაკადად მოედინებიან აქეთ ახალგაზრდები, რათა მონაწილეობა მიიღონ ბაღში გამართულ თამაშობებსა და სეირნობაში. ბაღს ნაირნაირი დროშებითი ნაგებობა შემატებია. აქ არის მრავალი სტენდი, რომელზეც ცნობილი კომპოზიტორების, მხატვრების, მწერლების, გამოჩენილი ადამიანების პორტრეტებია გაკრული. მათ წარწერები არა აქვთ. თქვენ უნდა მოიფიქროთ და დაასახელოთ ამ მოღვაწეთა გვარები. სხვა ადგილას წარწერა იტყობინება, რომ აქ არის „თავსატეხის“ განყოფილება, იქით კი უჩვენებენ კინოფილმს „ქალიშვილები ესპანეთის მოედნიდან“.

ბაღის სხვადასხვა კუთხეში გამართულია ატრაქციონები, „მხიარული ფოსტა“, „მხიარული ბუფეტი“, „პაემანის კუთხე“, რომელსაც აქვს წარწერა „მესამე ნუ გაჩერდებით“. აგერ კიდევ ერთი წარწერა — „თუ თქვენს წყვილთან ერთად იწონით 135 კილოგრამს, მიიღებთ პრიზს“. ეს არის „ქალიშვილების ზეიმის“ ერთ-ერთი შეჯიბრება.

აი სასწორს მიუახლოვდა რამდენიმე წყვილი. ისინი გულის ფანცქალით აიწონენ, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. გამოჩნდნენ კიდევ ქალვაჟი. ისინი რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები არიან. აიწონენ. არის! — ღიმილით უთხრა ამწონმა. ამ უცნაურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ თეიმურაზ აბაშიძე და ლია ლოლუა, რომლებიც თურმე ორივე 135 კილოგრამს იწონის.

მათ გადასცეს პრიზი — ჩაის ჭურჭლის საფესტივალო კომპლექტი და ჩიბუხი.

ბ. ბახტურიძე.

# დიდი საკარნავალო სვლა — ყეენობა

საფესტივალო ქალაქი თბილისი... ლენინის მოედანი — ალისფერი დროშებით, ყვავილწნულებით, ფერადი ელექტრონათურებით საზეიმოდ არის მორთული.

საღამოს 7 საათი და 30 წუთია. უცებ მოედნის სამი მხრიდან გაისმა ბუკის ხმა. სახელდახელოდ მოწყობილ ესტრადაზე ადის ორი მაცნე, რომლებიც ხალხს აუწყებენ „ყეენის ბრძანებას“ — შეიკრიბოს „მრევლი“... იწყება საკარნავალო სვლა, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთ-ერთი უძველესი საინტერესო ქართული სანახაობა „ყეენობა“.

მოედნის გარშემო ქუჩებიდან გამოდიან საკარნავალო სვლის მონაწილენი — ყარაჩოღელები, კინტოები, თავად-აზნაურობა, ქართულ საკრავთა დამკვრელები. მოედანზე შემოდიან ცხენოსნები — „ოთხი მუშკეტერი“ დ'არტანიანის მეთაურობით. აქვე არიან „ჩხიკვთა ქორწილის“, გრიბოედოვის სახელობის თეატრის სპექტაკლ „მგზნებარე გულის“ პერსონაჟები — ცხენოსნები კიკვიძე და მისი თანამებრძოლები. მოედანზე შემოდიან საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის ახალგაზრდობის წარმომადგენლები, რომლებიც აგრეთვე საკარნავალო სამოსში არიან გამოწყობილნი. მოედანი თვალის დახამხამებაში აივსო 1.500-ზე მეტი ქალვაჟით. ძნელია იმის აწერა, რა თვალწარმტაცად და მომჯადოებლად გამოიყურებოდა ამ დღეს ლენინის მოედანი. ნილბიანი „ბერიკები“ კომიკური ცეკვა-თამაშით ართობენ კარნავალის მონაწილეთ.

კვლავ ბუკის ხმა. ორი ცხენოსანი მახარობლის შეძახილზე — „ხალხო! ყეენი მობრძანდება“ — ყველამ მიიხედა ლესელიძის ქუჩისაკენ. ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა. და აი ლესელიძის ქუჩიდან გამოემართა ცხენებშებმული ეტლი, რომელზეც ამაყად დგას ყეენი. მას „სიდიადის“ მატებს ჩაჩი, რომელიც თავზე ახურავს. ყეენს ახლავს ორი მასხარა, რომლებიც ართობენ „მბრძანებელს“. ყეენის ეტლს მოჰყვება მეორე ეტლი, რომელშიაც ყარაჩოღელები (მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობები) სხედან ჭრელნითა და ზურნით.

ყეენმა წასვლა ბრძანა. საკარნავალო სვლა იწყება რუსთაველის პროსპექტით. გზაზე რუსთაველის სახელობის თეატრის წინ სვლას მიეგებნენ ოიდიპოს მეფე და „ტარიელ გოლუას“ ცხენოსანი პერსონაჟები, რომლებიც ყეენმა თავის ამალაში მიიწვია.

ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ყეენმა დაინახა ფლაქანზე მძინარე სანჩო, რომელსაც თავს სახედარი ადგა. სანჩო გამოაღვიძა ხმაურმა. იგი თეატრის შენობაში შევარდა ატყდა ჩოჩქოლი, თეატრის ფასადის კიბეებზე — ფარიკაობა. გამოირკვა, რომ დონ-კიხოტი მოწადინებულია ძოიტაცოს მარო („დაისის“ გმირი). დავაში ჩაერია ყეენი. მისი „განჩინებით“ მაროს და დონ-კიხოტს იქვე „ჯვარი გადასწერეს“ და საკარნავალო სვლამ საქორწილო სიმღერით განაგრძო გზა.

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრთან მოწყობილია ბაზრობა. ვაჭრები, კინტოები, მეწვნეები, მენახშირეები, მემწვანილეები მყიდველებს სთავაზობენ თავიანთ საქონელს. მოძალადე ყეენი თავისი ბუნებით ხომ ხარბი და გაუმაძღარია და აი აქ მან ბრძანა „ხარკის“ აკრეფა ბაზრობის მონაწილეთაგან.

მხიარული სიმღერებითა და დაკვრით, ცეკვა-თამაშით ყეენის აურაცხელი ამალა განაგრძობს გზას და ელბაქიძის დაღმართით მიემართება ორჯონიკიძის სახელობის პარკისაკენ. ამ საკარნავალო სვლაში — ყეენობაში, როგორც ძველად ჩვენი წინაპრების დროს, ცხოველი მონაწილეობა მიიღო ხალხმა — დიდმა და პატარამ. ეს მარტო საკარნავალო სვლის მონაწილეთა ზეიმი როდი იყო. მთელი გზის მანძილზე თბილისელი მშრომელები გულთბილად, მხიარული შეძახილებით მიესალმებოდნენ ყეენს და მის ამალას. ყეენი კი თავის მხრივ საჩუქრებს ფანტავდა აქეთ-იქით.

ორჯონიკიძის სახელობის პარკი ყეენის „სამფლობელოს“ წარმოადგენს. აქ მან სტუმრები მიიპატიჟა. მრავალი საინტერესო კარნავალის მომსწრეა ეს პარკი, ხოლო დღეს — მას შემდეგ, რაც ყეენს „სამფლობელოდ“ გადაიქცა, იგი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა. მაგრამ კარნავალის მონაწილეთ როდი „დასცალდათ“ მხიარულების დაწყება. იგრძნო რა თავი თავის სამფლობელოში, ყეენი მეტისმეტად გათამამდა და გაყოყოჩდა. იძლეოდა უცნაურ განკარგულებებს — მაგალითად, ხეები მოთხარეთო, და სხვ. ბერიკებმა ვეღარ მოითმინეს მისი უცნაური ბრძანებები, აჯანყდნენ და ყეენის მბრძანებლობა ამით დამთავრდა.

ამას დაემთხვა მწვანე შუშხუნის ავარდნა, რამაც დამსწრეთ კარნავალის გახსნა აუწყა...

კარნავალი დაიწყო...

გ. ძნელაძე.



საკარნავალო სვლა — ყეენობა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## სსრ კა[...]

ჩვენი ავიაციის განვითარ[...]
წეულ სერიოზულ წარმატე[...]
ნიშნავად საბჭოთა მთავ[...]
წელს დაადგინა ყოველწ[...]
ზეიმოდ აღინიშნოს სსრ[...]
ჰაერო ფლოტის დღე. შე[...] გა-
საბჭოთა ხალხის ერთ-ერთ მი-
საყვარელ ტრადიციულ[...]ისიდან
ლად იქცა. [...]დე გა-
ამ დღეს საბჭოთა ავი[...]ყველაზე
რიშს აბარებენ ხალხს, [...]ი მოვ-
პარტიას მიღწეულ წა[...] ხელოვ-
ხებ, ავლენენ თავიანთ[...]ება. ეს
რენოსნო და საბრძო[...] მეცნიე-
ამავე დროს ჩვენ[...] განვითარე-
ლები სიამაყის [...]მახასიათებე-
საბჭოთა ავიაციი[...]არჯვება დე-
დღებს, აღნიშნ[...]ობის მძლავრ
ბის, კონსტრუ[...]ერთ-ერთი უპი-
ბის, საავიაცი[...]აა, ურომლისო-
ბის, სამოქალ[...]ენელია ბრძოლა
და არმიის[...]ისი სივრცის დაპ-
ხელმძღვანელ[...]ალურად დედამიწის
გადღების [...]თა გაშვების შესახებ
კომუნ[...]ორმა ყველაზე მძლავ-
თა მთ[...]ისტრიულმა ქვეყანამ —
ჩვენი [...]ა კავშირმა და ამერიკის
მძლავრ[...]ებულმა შტატებმა. ახლა
აქვს [...]მხრივი მზადდება მეცნიე-
ამ განსაკუთრებული მო-
[...]ენისთვის.

# კოსმოსური ფრენის მიჯნაზე

**სამეცნიერო თემაზე**

### ჰაერის ოკეანეში

ვიდრე შესაძლებელი გახდებოდა პრაქტიკულად გადაჭრილიყო დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა შექმნის საკითხი, საჭირო გახდა მეცნიერული კვლევისა და ექსპერიმენტების უდიდესი კომპლექსი.

როგორც ცნობილია, ფუძემდებელი რეაქტიული მოძრაობის იმ თეორიისა, რომელიც საფუძვლად უდევს მთელ თანამედროვე რეაქტიულ ტექნიკას, იყო ჩვენი გამოჩენილი თანამემამულე, მთელ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი და გამომგონებელი კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკი.

დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა განზრახულ გაშვებას წინ უძღოდა რაკეტების შემწეობით ატმოსფეროს ფართოდ გამოკვლევის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი. საზღვარგარეთ გამოკვლევის ამ წესმა განვითარება ჰპოვა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადგან ამას ესაჭიროება დიდად განვითარებული ტექნიკა.

საბჭოთა კავშირში უკანასკნელი წლების მანძილზე რაკეტების შემწეობით შესრულებულ იქნა გამოკვლევათა საკმაოდ ფართო პროგრამა. ამ მიზნებისათვის ჩვენში შექმნილია სპეციალური კონსტრუქციის რაკეტები. ისინი აღჭურვილი არიან თავისებური მსროლელი მექანიზმებით, რომლებიც გათვალისწინებულ სიმაღლეზე ტყორცნიან ლითონის ორ კონტეინერს. ეს კონტეინერები წარმოადგენენ ორმეტრიან ცილინდრებს. ცილინდრების დიამეტრია 40 სანტიმეტრი. ცილინდრებში მოთავსებულია სხვადასხვა საზომი, მარეგისტრირებელი და მმართავი აპარატურა და შუშის ბალონები ჰაერის სინჯების ასაღებად. ცილინდრის ზედა ნაწილში არის პარაშუტი, რომელიც კონტეინერის ტყორცნისას ავტომატურად იშლება 10-12 კილომეტრ სიმაღლეზე და ნელნელა ჩამოაქვს თავისი ტვირთი დედამიწაზე. იმისათვის, რომ კიდევ უფრო გარანტირებულ იქნას მთელი აპარატურის დაცვა დედამიწაზე კონტეინერის დაშვების დროს, მას აქვს საიმედო ამორტიზატორები, რომლებიც ანელებენ დარტყმას მიწაზე დაშვების მომენტში.

ზოგიერთი საზომი აპარატი და ხელსაწყო მოთავსებულია რაკეტის სათავო ნაწილში. მათი მაჩვენებლები დედამიწაზე გადმოიცემა რადიოთი.



რაკეტის დაშვება მიწაზე.

ატმოსფეროს ზედა ფენების რაკეტულმა გამოკვლევებმა ბევრი ძვირფასი ცნობა მისცა მეცნიერებას. კერძოდ, გამოირკვა, რომ სიმაღლის მიხედვით ჰაერის ტემპერატურა მთელ რიგ მეტად მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. მაგალითად, 25-30 კილომეტრ სიმაღლემდე იგი ეცემა და აღწევს 50-60 გრადუს სიცივეს. მაგრამ ამის შემდეგ ტემპერატურა მაღლა იწევს, 45-55 კილომეტრის დონეზე დადებითი ხდება და ცალკეულ შემთხვევებში 30-35 გრადუსამდე სითბოს აღწევს. 75-80 კილომეტრ სიმაღლეზე ტემპერატურა ისევ ეცემა დაახლოებით 70 გრადუს სიცივემდე, ხოლო მეტეოროლოგიური რაკეტების ცალკეულ სიმაღლეზე აღინიშნებოდა ტემპერატურა 90 გრადუს სიცივეზე დაბლა.

ატმოსფეროს ზედა ფენების რაკეტული გამოკვლევა ინტენსიურად იწარმოებს საერთაშორისო გეოფიზიკური წლის განმავლობაშიც. განზრახულია საბჭოთა კავშირში მოხდეს რაკეტების 25 გაშვება არქტიკაში — ფრანც-იოსების მიწაზე, 70 გაშვება — ქვეყნის შუა განედებში და 30 გაშვება ანტარქტიკაში — მირნის რაიონში.

ვიდრე დაისმებოდეს საკითხი, შეიძლება თუ არა ადამიანი გაფრინდეს კოსმოსის სივრცეში, საჭიროა გაირკვეს, რა გავლენას მოახდენს ამ გაფრენის არაჩვეულებრივი პირობები ცოცხალი ორგანიზმის მდგომარეობაზე.

რაკეტებისა და სამართავი ყუმბარების საკითხების პირველ საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც გასული წლის დეკემბერში შედგა პარიზში, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საბჭოთა დელეგაციის წევრის ა. ვ. პოკროვსკის მოხსენებამ. საბჭოთა მეცნიერმა კონგრესის მონაწილეებს აცნობა, თუ როგორ მოხდა ჩვენს ქვეყანაში ცოცხალი ორგანიზმების სიცოცხლისუნარიანობის შესწავლა რაკეტებში ფრენის დიდი სისწრაფის დროს.

საცდელ ობიექტებად გამოიყენეს ძაღლები. ძაღლებს ათავსებდნენ სიმაღლის რაკეტის სათავო ნაწილის ჰერმეტიულად დახურულ კამერაში. აქვე თავსდებოდა აპარატურა, რომელიც ავტომატურად აღნუსხავდა კამერაში ტემპერატურას და ჰაერის წნევას, ცხოველთა სხეულის ტემპერატურას, სუნთქვის სიხშირეს და მაჯისცემას. კამერაში დამონტაჟებული კინოაპარატი აღბეჭდავდა, თუ რა მოსდიოდა ძაღლებს ფრენის დროს. ფრენის სიმაღლე აღწევდა 110 კილომეტრს, როცა სისწრაფე იყო საათში 4.300 კილომეტრი. სიმაღლეზე საკანი ცხოველებთან ერთად შორდებოდა რაკეტს და პარაშუტით ეშვებოდა დედამიწაზე.

სხვა გამოკვლევების დროს ძაღლებს ათავსებდნენ სკაფანდრში, რომელსაც ჰქონდა ჟანგბადით კვების სისტემა. ძაღლებს ათავსებდნენ რაკეტის სათავო ნაწილის არაჰერმეტიულ კამერაში. პარაშუტებთან და მარეგისტრირებელ აპარატურასთან ერთად მათ ამაგრებდნენ პატარა საზიდრებზე, რომლებსაც ავტომატური კატაპულტები გარკვეულ სიმაღლეზე ძაღლებთან ერთად გადმოაგდებდნენ და დაუშვებდნენ ძირს პარაშუტებით.

ორივე შემთხვევაში ძაღლები უვნებლად დაეშვებოდნენ დედამიწაზე. ცხოველთა ორგანიზმში არ აღმოჩენილა არავითარი დაზიანება და არსებითი ცვლილება, რომელიც გავლენას მოახდენდა ცხოველთა სიცოცხლისუნარიანობაზე. გაფრენის შემდეგ მათი მდგომარეობა ისევ ნორმალური იყო. ეს ამტკიცებს, რომ სავსებით შესაძლებელია ადამიანის გაფრენა რაკეტებით.

### დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები

რაკეტის შემწეობით ატმოსფეროს ზედა ფენების გამოკვლევა, რასაკვირველია, მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მიღწევაა და მან ბევრი რამ მოგვცა იმისათვის, რომ დაგვეზუსტებინა ჩვენი ცოდნა დედამიწის საჰაერო გარსის შესახებ. მაგრამ ამ გამოკვლევის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ რაკეტები მეტად მოკლე ხანს რჩებიან დიდ სიმაღლეებზე. ეს საშუალებას არ გვაძლევს ვაწარმოოთ საჭირო, სისტემატური დაკვირვება იმ მოვლენებზე, რომლებიც ატმოსფეროს ზედა ფენებში ხდება. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შეიქმნას დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, როგორც ხანგრძლივმოქმედი ავტომატური ლაბორატორია.

დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა გაშვება კიდევ უფრო რთული საქმეა, ვიდრე რაკეტული გამოკვლევები.

უწინარეს ყოვლისა თანამგზავრი არ უნდა იყოს დიდი და მძიმე. იმისათვის, რომ თანამგზავრი მოვაქციოთ მის მომავალ ორბიტში, საიდანაც იგი შემდეგში იწყებს ბრუნვას დედამიწის გარშემო მისგან რამდენიმე ასეულ კილომეტრ მანძილზე, აუცილებელია თანამგზავრის წონის თვითეულ კილოგრამზე დაიხარჯოს ასობით კილოგრამი საწვავი რაკეტულ სისტემაში, რომელიც გასაშვებად უნდა გამოვიყენოთ. მაშასადამე, რაც უფრო მძიმე იქნება თანამგზავრი, მით უფრო რთული და დიდი უნდა იყოს რაკეტული მოწყობილობა.

მეორე მხრივ, თანამგზავრი უნდა იყოს თავისებური სამეცნიერო ლაბორატორია, რომელიც სხვადასხვა მხრივ შეისწავლის თავისი მოძრაობის პროცესში ატმოსფეროს ზედა ფენების გეოფიზიკას. მან უნდა აღნუსხოს კოსმოსური გამოსხივებანი, დედამიწის მაგნიტური ველის დაძაბულობა, მზის კორპუსკულარული გამოსხივება, მიკრომეტეორების და მეტეორების ინტენსიურობა და ენერგია იმ სივრცეებში, სადაც გაივლის და ბევრი სხვა რამ. ამასთან რეგის-



რაკეტი ფოტოელემენტების მარაოებით.

ტრირებული ყველა მონაცემი ზუსტად და უტყუარად უნდა გადმოსცეს დედამიწაზე. მაშასადამე, თანამგზავრს უნდა ჰქონდეს საიმედო და ზუსტი მარეგისტრირებელი და მაანალიზებელი აპარატურა და რადიოსადგური, რომელსაც შეეძლება გამოკვლევათა შედეგად მიღებული ცნობები გადმოსცეს დედამიწაზე. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ეს მოწყობილობა მისი სიზუსტისა და უტყუარობის უზრუნველყოფასთან ერთად იყოს მაქსიმალურად კომპაქტური და მსუბუქი, რომ ზედმეტად არ გავზარდოთ თანამგზავრის სიდიდე და წონა.

ბოლოს, დიდი სიძნელეების გადალახვა იქნება საჭირო თანამგზავრის მისატანად მის მომავალ ორბიტამდე. საქმე ის არის, რომ რაკეტის ფრენის უდიდესი სისწრაფის დროს (წამში 8 კილომეტრი) საჭიროა დიდი სიზუსტის დაცვა მოძრაობის როგორც სისწრაფეში, ისე მიმართულებაში. ნავარაუდევიდან გადახრა სისწრაფეში თუნდაც სულ რამდენიმე ათეული მეტრით წამში, ან კიდევ გადახრა მოძრაობის მიმართულებაში თუნდაც მარტო ერთი გრადუსით გამოიწვევს იმას, რომ თანამგზავრი ვერ მოექცევა თავის ორბიტში. აქედან ნათელი ხდება, თუ მოქმედების რა სიზუსტე უნდა ახასიათებდეს ხელსაწყოებს, რომლებიც ავტომატურად მართავენ რაკეტების ფრენას.

ბუნებრივია, რომ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შექმნა და გაშვება შეუძლიათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც ჰყავთ მეცნიერთა, ინჟინერთა, კონსტრუქტორთა მაღალკვალიფიციური კადრები და აქვთ მძლავრი ტექნიკური და საწარმოო ბაზა. უამისოდ შეუძლებელია იმ უდიდესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებულია როგორც თვით თანამგზავრის რთული და ზუსტი მოწყობილობის კომპლექსის, ისე მისი გაშვებისათვის აუცილებელი სარაკეტო მოწყობილობის დამზადებასთან.

დედამიწის ახლანდელი თანამგზავრები დედამიწაზე აღარ დაბრუნდებიან. ატმოსფეროს თუნდაც მეტად გაიშვიათებულ ზედა ფენებში ბრუნვისას ისინი დაკარგავენ თავიანთი სისწრაფის ნაწილს, დაეშვებიან დედამიწის საჰაერო გარსის უფრო დაბალ და ამიტომ უფრო მკვრივ ფენებში და დაიწვებიან აეროდინამიკური გახურების შედეგად. მაშასადამე, მეცნიერები იძულებული არიან დაკმაყოფილდნენ ატმოსფეროს ზედა ფენების შესახებ მხოლოდ იმ ცნობებით, რომლებიც დედამიწის თანამგზავრიდან გადმოიცემა რადიოთი. ეს ცნობები, რასაკვირველია, მეტად ძვირფასი იქნება, მაგრამ მაინც ერთგვარად შეზღუდული. ამიტომ ახლა მეცნიერები და ინჟინრები დაძაბულად მუშაობენ იმ პრობლემის გადასაჭრელად, თუ როგორ უზრუნველყონ შემდეგში თანამგზავრის დედამიწაზე დაბრუნება დაუზიანებლად მთელი თავისი სამეცნიერო აპარატებით.

### ატმოსფეროს ფარგლებს იქით

1911 წელს კ. ე. ციოლკოვსკი წერდა: „კაცობრიობა მუდამ არ დარჩება დედამიწაზე, არამედ სინათლისა და სივრცის შემდგომ ძებნაში ჯერ გაუბედავად გავა ატმოსფეროს ფარგლებს იქით, ხოლო შემდეგ დაიპყრობს მზის მახლობლად მდებარე სივრცეს". დედამიწის პირველ თანამგზავრთა გაშვება იქნება ის „გაუბედავი" საწყისი, რომელიც კაცობრიობას მიიყვანს ატმოსფეროს იქით, ხოლო შემდეგ საპლანეტთაშორისო ფრენამდე.

კოსმოსური სივრცის გამოკვლევათა შემდგომი ეტაპი, ალბათ, იქნება მთვარის ხელოვნური თანამგზავრის შექმნა. ამისათვის თანამგზავრი აღჭურვილი უნდა იყოს მსუბუქი ძრავით, რომლის წევის ძალა საკმარისი იქნება იმისათვის, რომ უჰაერო სივრცეში თანამგზავრი გადაანაცვლოს მიწიდან უფრო დაშორებულ ორბიტებში და საბოლოო ანგარიშით მოაქციოს იგი მთვარის ორბიტში. შეიძლება ეს იყოს ძრავა, რომელიც იმუშავებს მზის ენერგიით. ამ ენერგიის ელექტროენერგიად გარდამქმნელები ახლა უკვე არსებობს. მთავარი ის არის, რომ გავადიდოთ ამ გარდამქმნელთა მარგი მოქმედების კოეფიციენტი. შეგვიძლია ვივარაუდოთ ატომის ენერგიით მომუშავე ძრავაც. ყოველ შემთხვევაში ამჟამად მიმდინარეობს ასეთი ძრავების შექმნასთან დაკავშირებული გამოკვლევები. სწავლობენ აგრეთვე მთვარის თანამგზავრების ფრენის ყველაზე ოპტიმალურ ტრაექტორიებს. ყველა ამ სამეცნიერო მუშაობას უკვე უახლოეს წლებში რეალური, პრაქტიკული მნიშვნელობა მიეცემა.

გრძელდება აგრეთვე უფრო შორეული მომავლის პროექტების შემუშავებასთან დაკავშირებული გამოკვლევები. ყოველმხრივ სწავლობენ, თუ რამდენად შესაძლებელია კოსმოსური ხომალდების გაფრენა ეკიპაჟით, გაფრენა მთვარეზე დაშვებით, გაფრენა მარსისა და სხვა პლანეტებისაკენ. თუნდაც რომ ყოველივე ეს შორს იყოს ჩვენი დღევანდელი სინამდვილისაგან, ამ სამეცნიერო სამუშაოთა სარგებლობა უეჭველია. ყოველ შემთხვევაში ამით ირკვევა ამგვარი ექსპედიციების სიძნელეები, ისახება შემდგომ გამოკვლევათა გზები. მაგალითად, ისინი გვიჩვენებენ, რომ ტექნიკის თანამედროვე დონის არსებობისას გაფრენას მთვარეზე დაშვებით და შემდეგ დედამიწაზე დაბრუნებით დასჭირდებოდა მილიონობით ტონა ფანტასტიკური წონის რაკეტული მატარებელი. მკვლევართა დაუცხრომელი აზრი ეძებს გამოსავალს ამ მდგომარეობიდან და მას პოულობს იმაში, რომ ჯერ შეიქმნას დედამიწის დიდი ხელოვნური თანამგზავრი შუალედი სადგურის სახით. გაფრენის სქემის ასე აგებისას რაკეტული მატარებლის საწყისი წონა უკვე ძლიერ მცირდება.

თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათ, 1933 წლის პირველ მაისს, წითელ მოედანზე, რომელიც დემონსტრანტების დაუხრულებელი ნაკადებით იყო სავსე, რეპროდუქტორებმა გადმოსცეს კ. ე. ციოლკოვსკის მგზნებარე, მომავლის იმედით აღსავსე სიტყვები. დიდი მეცნიერი და მეოცნებე ამბობდა:

„ორმოცი წელი ვიმუშავე რეაქტიულ ძრავაზე და ვფიქრობდი, რომ გასეირნება მარსზე დაიწყება მხოლოდ მრავალი ასეული წლის შემდეგ. მაგრამ ვადები იცვლება. მჯერა, რომ ბევრი თქვენგანი იქნება ატმოსფეროს მიღმა პირველი მოგზაურობის მოწმე..."

ეს ახლა მოხდება. დიდი მეცნიერის დიდი ოცნება სინამდვილედ იქცევა.

**ვ. ფედოროვი.**

## ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტების მდივნების თათბირი

**პრაღა, 28 ივნისი. (საქდესი).** 27 ივნისს პრაღაში გაიმართა პარტიის საოლქო კომიტეტების მდივნების საერთო-სახელმწიფოებრივი თათბირი, რომელიც მოიწვია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

სოფლად სოციალიზმის მშენებლობის თანამედროვე საკითხებზე და პარტიის საქმიანობის ზოგიერთ სხვა აქტუალურ პრობლემაზე, კერძოდ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღების შესახებ, მოხსენება გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ნოვოტნიმ.

მომხსენებელი შეეხო სოფლად თანამედროვე მდგომარეობის, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების საკითხებს, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე.

კამათში გამოსულნი ერთსულოვნად აღნიშნავდნენ მსხვილი სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების დიდ მნიშვნელობას.

## ინდონეზიის კომპარტიის გენერალური მდივნის განცხადება

**ჯაკარტა, 27 ივნისი. (საქდესი).** ინდონეზიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა აიდიტმა პიას სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ კომუნისტური პარტიის წარმატება ჯაკარტის მუნიციპალურ არჩევნებში წარმოადგენს პოლიტიკის შედეგს, რომელსაც კომპარტია ახორციელებს (მიღებული ხმების რაოდენობით კომპარტიამ მეორე ადგილი დაიკავა). ინდონეზიის საზოგადოებრივი აზრი, თქვა აიდიტმა, ამჟამად იხრება ერთიანობისა და დემოკრატიისაკენ. კომუნისტური პარტია გამოდის სწორედ ამ ლოზუნგებით.

მეორე ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო კომპარტიის გამარჯვებას, ის არის, რომ კომპარტიის წარმომადგენლებმა თავი გამოიჩინეს როგორც ხალხის ინტერესებისათვის ნამდვილმა მებრძოლებმა და წამოაყენეს მოთხოვნები, რომელთა მიზანია მუშებისა და გლეხების ცხოვრების გაუმჯობესება.

## პატრიოტების დევნა იორდანიაში

**ბეირუთი, 28 ივნისი. (საქდესი).** ლიბანის პრესის ცნობით, იორდანიაში გრძელდება დევნა და დაპატიმრება პატრიოტებისა, რომლებსაც ხელისუფალნი ბრალად სდებენ „არსებული რეჟიმის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას".

გაზეთი „აშ-შარკი" აღნიშნავს, რომ „იორდანიის ამბების" საქმეზე პასუხისგებაში მიცემულია იორდანიის პარლამენტის შემადგენლობის ორი მესამედი, მრავალი პოლიტიკური ლიდერი, მეცნიერი, ლიტერატორი და ყოფილი მინისტრი.

პრესა აგრეთვე იუწყება, რომ იორდანიაში მოწვეულია სპეციალური კომისია იორდანიის პატრიოტთა გასასამართლებლად.

## დაინიშნა სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებით სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. ა. ჟუკოვი. (საქდესი).

## სიცოცხლე შეუნარჩუნა

ამას წინათ რუსთავის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მიიყვანეს ავადმყოფი ბ-ლი, რომელსაც გულმკერდის არეში ჰქონდა დანით მიყენებული განმგმირავი ჭრილობა.

დაჭრის მომენტიდან სტაციონარში მოყვანამდე სულ შვიდი წუთი იყო გასული, მაგრამ ავადმყოფის საერთო მდგომარეობა უკვე ძლიერ მძიმე იყო — იგი იმყოფებოდა აგონიურ მდგომარეობაში, ბევრი სისხლის დაკარგვის გამო არ ისინჯებოდა სისხლის არტერიული წნევა, მაჯა არ უცემდა, სუნთქვა გაძნელებული, ზერელე ჰქონდა. დაჭრილი მაშინვე დააწვინეს საოპერაციო მაგიდაზე და საქართველოს დამსახურებულმა ექიმმა ქირურგმა ლ. ქვარიანმა დაიწყო მძიმე და რთული ოპერაცია ადგილობრივი გაუტკივარებით.

ოპერაციის მსვლელობაში აღმოჩნდა მარცხენა პლევრის ღრუში დიდი რაოდენობით სისხლის ჩაქცევა, გულის პერანგის დაზიანება და მასში სისხლის ჩაქცევა. გულის პერანგის გახსნისას აღმოჩნდა, რომ დანას დაეზიანებინა აგრეთვე მარცხენა წინაგული, რომელშიც ჭრილობის სიგრძე 3,5 სანტიმეტრს აღწევდა, და მარცხენა გულის მკვებავი სისხლძარღვი. ქირურგმა გულის ჭრილობას დადო 4 აბრეშუმის კვანძოვანი ნაკერავი და დაამუშავა ჭრილობა — ოპერაციის პარალელურად საოპერაციო მაგიდაზე ავადმყოფს წვეთობრივად გადაუსხეს 2 ლიტრი კონსერვირებული სისხლი.

ოპერაციის შემდეგ, რომელიც გრძელდებოდა საათნახევარს, ავადმყოფს დაუბრუნდა მეტყველება, აღდგა გულისა და მაჯის ცემა, გამოუსწორდა სუნთქვა და სისხლის არტერიული წნევა თანდათანობით დაუბრუნდა ნორმას — ავადმყოფი თავს [...] ამჟამად ავადმყოფი თავს კარგად გრძნობს, იგი უკვე დატოვებს საავადმყოფოს.

ფართო და მზიან დერეფნებში და ამ დღეებში გაიკურნებული გაეწერება საავადმყოფოდან.

ექიმ ქვარიანს არაერთხელ გაუკეთებია მსგავსი ოპერაცია. პირველად იგი გულის ჭრილობის დამუშავებისას ასისტენტობდა თავის მასწავლებელთან აკადემიკოს გ. მუხაძესთან რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში. შემდეგში დამოუკიდებლად გაუკეთა გულის პერანგის ჭრილობის ოპერაცია ავადმყოფ ბ-ძეს ჭიათურაში.

რუსთავის მრავალი საწარმოს მუშაკები, ქალაქის საზოგადოებრიობა ღრმა პატივს სცემენ ნიჭიერ ქირურგს ადამიანთა მკურნალობის საქმეში დიდი წარმატებისათვის.

ექიმი **დ. ნანობაშვილი.**



თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა უშვებს ნატურალური და წმინდა ხელოვნური აბრეშუმის, აგრეთვე ბოჭკოსაგან დამზადებულ 26 სახის 560-ზე მეტი მოჩითულობის ქსოვილებს.

ფაბრიკის საასორტიმენტო კაბინეტში შეიძლება ნახოთ ნატურალური აბრეშუმისაგან მოქსოვილი კრეპ-შიფონისა და შემსუბუქებული კრეპ-ჟორჟეტის ნიმუშები წარწერით: „საჩუქარი დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად". ამ ქსოვილებმა მომხმარებლებში საერთო მოწონება ჰპოვა. მიმდინარე წელს ფაბრიკა 200 ათას მეტრ ასეთ ქსოვილებს გამოუშვებს.

**სურათზე:** საასორტიმენტო კაბინეტის მუშაკები თ. მღვდლაძე (მარცხნივ) და ი. შაორშაძე არჩევენ ქსოვილების ნიმუშებს.

ფოტო გ. კიკვაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

★

## ევროპის X ჩემპიონატი

ევროპის X ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის დასასრულს უახლოვდება. დასკვნითი ასპარეზობის მე-4 წრეში სსრ კავშირის გუნდმა დაამარცხა პოლონელი კალათბურთელები 86:64. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: ბულგარეთი-რუმინეთი 67:54, იუგოსლავია-ჩეხოსლოვაკია 74:95, საფრანგეთი-უნგრეთი 58:81.

4 წრის შემდეგ დაუმარცხებლად იბრძვიან სსრ კავშირისა და ბულგარეთის გუნდები. 27 ივნისს კალათბურთელები ისვენებდნენ.

## საერთაშორისო შეხვედრა

უნგრეთში სტუმრად იმყოფება მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდი. ბუდაპეშტში შედგა ტორპედოელთა და ბუდაპეშტის „ვაშაშის" საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. გაიმარჯვეს უნგრელებმა 3:1.

## სსრ კავშირის პირველობაზე

### „ა" კლასი

**მოსკოვი. 28 ივნისი.** აქ გაიმართა მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. თამაშობდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდები. შეხვედრა დამთავრდა „ზენიტის" გამარჯვებით, ანგარიშით 4:3.

### „ბ" კლასი

27 ივნისს ქუთაისში შედგა „ბ" კლასის მესამე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივების ამხანაგის „კოლხოზნიკის" და ქუთაისის „ლოკომოტივის" გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს ქუთაისელმა ფეხბურთელებმა 3 : 0.

## მრავალდღიანი ველორბოლა

ერთი დღის შესვენების შემდეგ საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეებმა ბობრუისკისაკენ აიღეს კურსი. მეხუთე ეტაპის დისტანცია 217 კილომეტრი იყო. ფინიშთან პირველი მივიდა ნ. სიროტინი (დრო — 5 საათი, 30 წუთი და 30 წამი).

მეექვსე ეტაპში (ბობრუისკი — გომელი) გაიმარჯვა ე. ხიმიტოვმა, რომელმაც 179 კილომეტრი გაიარა 4 საათში, 24 წუთსა და 36 წამში.

მეშვიდე ეტაპზე (გომელი — ჩერნიგოვი, 110 კილომეტრი) ფინიშთან პირველი იყო ი. კოლედოვი. დრო — 2 საათი, 28 წუთი, 35 წამი. ი. კოლედოვი ინარჩუნებს საერთო ლიდერობას. გუნდურ ჩათვლაში წინ არის არმიელ სპორტსმენთა კოლექტივი.

## დამთავრდა მოსწავლეთა სპარტაკიადა

თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და მცხეთის სასპორტო ბაზებზე დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობები.

ეს შეხვედრები აღინიშნა ჩვენი რესპუბლიკის გოგონებისა და ჭაბუკების წარმატებებით. მათ საქართველოს რვა ახალი რეკორდი დაამყარეს მძლეოსნობაში, სროლასა და ცურვაში.

საერთო გუნდური პირველი ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება პირველ ჯგუფში მოიპოვა თბილისის მოსწავლე სპორტსმენთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდა აფხაზეთის გუნდი, მესამეზე — აჭარის გუნდი.

საქართველოს მოსწავლე სპორტსმენთა გუნდები შეკრების გავლის შემდეგ მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო სპარტაკიადაში.

**რედაქტორი გ. ფირცხალავა.**


### დ ღ ე ს
### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზაფხულო), **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო და საზაფხულო), **სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — მას უყვარხარ, **ამირანი** (საზამთრო) — ელია ძურომეცი, **თბილისი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ვოროშილოვის სახელობის კლუბი, კიროვისა და ორჯონიკიძის სახელობის პარკები, ვაკის პარკი** — გაზაფხულზე, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — მოგზაურობა ახალგაზრდობაში, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, დიდუბე** (საზამთრო) — მიკოლკა-ორთქლმავალი, **კოლხიდა** (საზამთრო და საზაფხულო) — ავარა (I და II სერია), **ოფიცერთა სახლი** — აბეზარა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **ყაზბეგი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — პროცესი სამ მილიონზე, **კოლმეურნე** — ნაცნობობა, **დიდუბე** (საზაფხულო) — გული მღერის, **კომუნარების ბაღი** — საზღვარგარეთული ფილმი.

მოქალაქე იულია ივანეს ასულმა გავრილოვა-კოვალევამ, მცხოვრებმა ბაღის ქ. № 5, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ბორის ვასილის-ძე კოვალევთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგია.

### ტელეგადაცემათა პროგრამა
**30 ივნისისათვის**

#### დღისით

15.00 — სატელევიზიო ჟურნალი „საქართველოს პიონერი" № 10 („პიონერის კლუბის" შეკრება — „გაიხსნა საქართველოს ახალგაზრდობის რესპუბლიკური ფესტივალი", „ნორჩ რკინიგზელებთან", „სამტრედიელთა მაგალითით", „საოცარი სამყარო" და „მსოფლიოს ქვეყნებში"), 15.35 — გადაცემა ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „მაქსიმკა", 17.00 — მომავალი კვირის გადაცემათა პროგრამა.

#### საღამოს

20.00 — კინოჟურნალი — „საბჭოთა საქართველო" № 10, 20.20 — მხატვრული ფილმი „ეთერის სიმღერა".

მეუღლე შალვა, შვილები თენგიზ, ლამარა, დედა ნადო, დები ნინო, ანეტა, ძმები გიორგი, შალვა, ვიქტორ ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან
**თამარ გიორგის ასულ გურაშვილი-ლვინიაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VII, 5 ს. ქ. თელავში, გამოსვენება ბინიდან, თავისუფლების მოედანი № 17.

შვილი რაისა, სიძე რამან ტიტიშევი შვილებით იუწყებიან
**ნადეჟდა ეფრემის ასულ კალანდარიშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 30-VI, 2 ს. უნივერსიტეტის ქ. № 50.

შვილები სიმონ, სონია, რძლები ვერა და თინა; ბორის, ლელი, მერი, ელდარ იუწყებიან
**ვასილ სიმონის-ძე ლელაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-VI, 4 ს. ქ. ზესტაფონში. გამოსვენება ბინიდან, წულუკიძის ქ. № 18.

მეუღლე ილარიონ. შვილი იაკობ, რძალი როზა შვილებით იუწყებიან
**ნინო დიმიტრის ასულ ხაბეიშვილი-კოდუას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VII ქ. ფოთში, გამოსვენება ბინიდან, 1 მაისის ქ. № 49.

შვილები მერი, ციალა, ძმები არსენ, ვლადიმერ, და ოლია, რძლები მარო, ანა, სიძე ბ. ცქიტიშვილი; დიმიტრი კვაჭანტირაძე ოჯახებით იუწყებიან
**სევასტი გიორგის-ძე კვაჭანტირაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-VI ქ. ბათუმში, გამოსვენება ბინიდან, ცხაკაიას ქ. № 6.

მეუღლე ალექსანდრე, შვილები თამარ, გენო, აბესალომ, ძმები ლუკა, კაკო, რძალი თინა, სიძე შ. იობაშვილი ოჯახებით იუწყებიან
**პარასკევა ესტატეს ასულ გურგულია-შელიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VII სოფ. დარჩელში (ზუგდიდის რ.).

მეუღლე თამარ, შვილები იური, გიული, ციალა, ძმები პანტელეიმონ, კაპიტონ, შოთა, დავით, მუშნი, გვანჯი ოჯახებით იუწყებიან
**ევტიხი ფილიპეს-ძე ჭანტურიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-VI, 1-VII, 8 ს. გამოსვენება 2-VII, 6 ს. მეორე პარალელური ქ. № 12.

მამა სტეფანე, დედა თაკო, შვილი ბიჭიკო, დები მერი, თინა, ძმა ვარლამ იუწყებიან
**ნორა სტეფანეს ასულ მამულაშვილის**
გარდაცვალებას დაკრძალვა 30-VI, 4 ს. ახალსოფელში (ყვარლის რ.).


**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოს — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის—3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი—3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების—3-64-42, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 01963 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.